# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 მაისი, 2013 წელი.

№85 (7212)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ამ დიადი გამარჯვებისთვის დაღუპულ გმირებს– ხსოვნა და დიდება, დღესაც ისევ ცოცხალთ კი – მეტი ყურადღება და პატივი!







## ომში დაკარგული გვარი

1977 წლის ზაფხულში პისკარიოვის სასაფლაოზე შემთხვევით წავაწყდი საფლავის ქვას, რომელზედაც ეწერა „ქართველი ჯარისკაცი რევაზი“. მეორე დღეს ლამაზი ჯვარი დავამზადებინე და სასაფლაოზე ჩავიტანე, მაგრამ ზღვა საფლავებში რევაზის საფლავს ველარ მივაგენი. ჯვარი უსახელო საფლავზე დავადგმევინე პეტერბურგელ ოსტატს.

*უმალ ვიგრძენი სისხლის სინორჩე,*
*ალბათ, მაგარი ბიჭი იყავი,*
*შენი სახელი საფლავს შემორჩა*
*და გვარი შენი გააიგავე.*
*იქნებ რთველიძე, იქნებ თოიძე,*
*იქნებ თბილელი, იქნებ თორელი,*
*მე ახლა გული შენკენ მომიწევს,*
*როგორც არაგვი დაუდგრომელი.*
*ნეტავი, თვალი საით გაგექცა,*
*ჩვენი ვაჟი ხარ, ჩვენი რევაზი,*
*თბილისი მტკვარზე უნდა დაგეცვა,*
*მაგრამ იცავდი თბილისს ნევაზე.*
*საფლავის ქვები ერთად ამხელენ,*
*მტერთან იბრძოდი, როგორც ტიტანი,*
*ქვაზე ვიპოვე შენი სახელი*
*და სამშობლოში ჩამოვიტანე.*
*მას შეინახავს ჩიტის გალობა,*
*ყველამ პატივი უნდა მივაგოთ,*
*მინდა ამ ლექსმა, უფლის წყალობით,*
*ომში დაკარგულ გვარსაც მიაგნოს!*

შოთა ზოიძე

ქ. ბათუმი.

## დიადი გამარჯვების ქართული წილი: ციფრები და ფაქტები

**ყველა ფრონტზე,** მათ შორის ნაკლებად ცნობილ ირანის ფრონტზეც, **გაითქვა სახელი 84 გენერალმა და ადმირალმა საქართველოდან, მათ შორის ქართველია 59, სომეხი – 9, რუსი – 8, ებრაელი – 4, ოსი – 3 და ერთი აფხაზი.** სამი ჩვენი თანამემამულე იყო არმიის სარდალი: **გენერალ-პოლკოვნიკები კონსტანტინე ლესელიძე და პორფილე ჩანჩიბაძე და გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ლვოვი,** თბილისის მკვიდრი. ჩვენი **შვიდი გენერალი სარდლობდა კორპუსს, 20 გენერალი იყო დივიზიის მეთაური. პოლკოვნიკისა და პირველი რანგის კაპიტნის ჩინით დაასრულა ომი საქართველოში დაბადებულმა 364 მეომარმა.**

იხ. 9 გვ.

# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ სულიერება

# სავედრებელი პარაკლისი... და... კითხვის ნიშნები

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათას მთაზე წმინდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და უფალს საქართველოს მშვიდობა, გადარჩენა და კეთილდღეობა უსურვა. პარაკლისს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, მინისტრები და პარლამენტარები დაესწრნენ. მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა ორი წლის წინათ დაიწყო. ტაძარი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ფონდ „იავნანას" ინიციატივით შენდება. ფონდის დამფუძნებლის პაატა ბურჭულაძის განცხადებით, იმ დღეს ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო. უკვე დასრულებულია ეკლესიის საძირკველი და იწყება კედლების ამოყვანა და ტაძრის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები 26 თვეში დასრულდება. პარაკლისის დასრულების შემდეგ, მრევლს ივერიის ღვთისმშობლის ხატები დაურიგდა.**

ამ მოვლენის შესახებ mediamall.ge-მ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა. პოსტის ავტორი ინგა გეთიაშვილი წერს:

„სირცხვილი ქართველ ერს! ძალიან დიდი სირცხვილი! რაც დღეს მახათას მთაზე მშენებარე ყოვლადწმინდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან ვნახე, სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი! პირველ ყოვლისა, თავიდან ბოლომდე არაორგანიზებული იყო, მონიტორზე პატრიარქის ხმა არ ისმოდა; ეკრანზე აჩვენებდნენ ხიდაშელს და უსუფაშვილს, იქ არავინ მისულა მაგათი „სახეების" სანახავად! ან „კრიშებიდან" ხატების დარიგება ვინ ასწავლა ამ ხალხს?!

ბაზარში არ ხდება ისეთი რამ, რაც მახათაზე ხდებოდა, 15-15 ხატს იღებდნენ, რომ გეთხოვა, ერთ ცალსაც არავინ მოგცემდა, იქ რომც მომკვდარიყავი. გაიგებენ თუ არა, რომ უფასოა, მორჩა! — ყველაფერს ივიწყებენ, ოღონდაც ხელი რამეს გამოჰკრან! რამდენი ადამიანი მოჰყვა ჭყლეტაში, ერთ გოგოს გული წაუვიდა. ზედ გადაუარეს! ტერიტორია სავაჭრო ცენტრად აქციეს, მზესუმზირას (იდგნენ და იფურთხებოდნენ) და მიკი მაუსის ვარდისფერ ყურებს ყიდდნენ, ვითომ და რაღაც კონცერტი ყოფილიყო! ეს ხალხი არაფრის ღირსი არ არის, ან ბრბოს რა უნდა მოსთხოვო? რამდენი ადამიანი წამოვიდა გულდაწყვეტილი და გაღიზიანებული!"

ამ პოსტს ასეთი კომენტარები მოჰყვა:

„უფალო, შენ აპატიე და შეიწყალე ქართველი ხალხი, ავი და კარგი გაარჩევინე, გონება გაუნათე, რათა კეთილი საქმე აკეთონ"!

„კარგი იქნებოდა, ბავშვობიდანვე ესწავლებინათ ჩვენთვის, რომ ღვთის რწმენა და სიყვარული მარადიულია, სხვა დანარჩენი კი — წარმავალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... თუმცა, აქ ელემენტარული ქცევის ნორმები იგულისხმება, რასაც ოჯახებში ნამდვილად გვასწავლიდნენ..."

„რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში (ძალიან ინტერნაციონალური მრევლი ჰყავს ამ ეკლესიას) დავდივარ 9-10 წელია, რადგანაც ემიგრაციაში სხვა საშუალება არ არის, და გინდათ სიმართლე? ვინც ულამაზოდ იქცევა, ეს ქართველები არიან, ძირითადად — კერძოდ, ლიტურგიის დროს ტაძარში უმიზნოდ მოძრაობენ (როცა ყველა ერთ ადგილასაა გაქვავებული და მხოლოდ საკურთხევლისკენ აქვთ თვალიც და ყურიც მიპყრობილი), დაგვიანებით მოდიან და გადაკოცნა-გადმოკოცნის ხმებს მეორე მხარეს გაიგებ, მსახურების დროს ლაპარაკობენ, მობილურებზე აღარ ვამბობ არაფერს — როგორც წესი, ძალიან უჭირთ გამორთვა, ასევე შუა წირვიდან გარეთ გავარდებიან ტელეფონის საპასუხოდ და რა ვიცი, კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... ერთადერთი, რაც არ ეშლებათ, ძალიან ხელგაშლილი არიან შესაწირის გაღებაში, რითაც დიდ სიმპათიას იმსახურებენ.... კიდევ ერთი რამ — თუ თავად არ იციან, როგორ მოიქცნენ ეკლესიაში, გარშემო მიიხედ-მოიხედონ, სხვა როგორ იქცევა და იმის მიხედვით იმოქმედონ (ეს აქაურებს ეხება)"...



დაბოლოს, ვინც ქცევის წესი არ იცის, ის სადაური მრევლია? განა მრევლი ოდენ ქრისტიანული მორალის მიმდევრების სიმრავლეა? ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი ჭეშმარიტ რწმენამდე მისასვლელად.

**ნატა ნიბლაძე**

◉ არჩევნებიდან... არჩევნებამდე

# რა კარგები ხართ მაშინ...

## ლამის იმ ადამივით უმანკონი და წმინდანნი, როგორიც იყო იგი მანამ, სანამ გველისგან ცდუნებული ევა აკრძალულ ხილს შეაჭმევდა...




**ვის მოვიხსენიებ და ვესათუთები ასე? ვის და, ალბათ, გაგიძნელდებათ დაჯერება, მაგრამ ნაციონალებს — ამჟამინდელებსაც, ვინც მრავალი უკეთურობის გამო ხალხმა შარშან მოაშპინდილა, და იმ „ჩამოსხმისასაც", ვისაც წლების წინათ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობა და ხმები სჭირდებოდათ.**

ხომ გახსოვთ, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე კვლავ პრეზიდენტობის მოსურნე პრეზიდენტ სააკაშვილს, იმერელი პენსიონერის შეჭირვებული ყოფით „გულშეძრულს", ობოლი ცრემლი, რომელსაც უთუოდ მთელი ღვარი მოჰყვებოდა და, ალბათ, ამ გულდამდაგავი სცენის მაყურებლებსაც აგვაქვითინებდა, საზრიან ოპერატორსა და რეჟისორს კამერა რომ სხვა კადრზე დროულად არ გადაეტანათ!

**წინ არჩევნები იყო და, აბა, რა ექნა დროებით რეიგანის პირვანდელ პროფესიაზე გადართულ სააკაშვილს?**

რა კარგები იყვნენ მაშინ, არჩევნების წინ, ნაცები, სიტყვითაც და, ნაწილობრივ, საქმითაც, ვითომ ხალხზე გადაგებულნი. მართალია, თბილისში ამას არავინ ჭამდა (აკი ამიტომაც წააგო არჩევნები აქ და, თუ არ შეიძულა, მოიძულა მაინც მიშიკომ დედაქალაქი), მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამით სამხრეთი თუ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების უამრავი სენტიმენტალური ტელესერიალით გაბრუებული სოფლის მოსახლეობის გული, ერთგვარად მაინც, მოინადირეს.

**ახლაც, „ხალხის მსახურის" მანტიამორგებულნი, ნახეთ, როგორ ძვრებიან გველის ტყავში და, კოჰაბიტაციას ამოფარებულნი, შინ თუ გარეთ ახალი ხელისუფლების მიმართ ცილისწამება-საბოტაჟსღა ეწევიან, მომავალი არჩევნების მოსაგებად ემზადებიან.**

ეს წერილი გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „სამოთხის ვაშლებში" ერთ-ერთი ყოფილი „მამალი ნაციონალის", ნაცთა ზეობისას მთავრობის საპარლამენტო მდივნის, ახლა კი თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის გია ხუროშვილის ხილვამ დამაწერინა.

**რაოდენ თბილად, რაოდენ ადამიანურად, რა პატივისცემით საუბრობდა იგი თითოეული ჩვენგანისგან მართლაც ყოველნაირი დაფასების ღირსი ადამიანების — მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების შესახებ. — ჩვენს რაიონში მათ პატივსაცემად დღეს საგანგებო საღამოს ვმართავთ, რომელსაც მე და ქალბატონი ლია მიქაძე წარვუძღვებითო.**

ანუ ამ წერილის ქვესათაურში ნახსენები ჯერაც უცდუნებელი ადამივით, ჭეშმარიტად ადამიანურად, სამომავლარჩევნებოდ ნაცთათვის ელექტორატის გულის მოსაგები ტონით საუბრობდა.

ამას საწყენად ნუ მიიღებთ, ბატონო გია, ნათქვამი მარტო თქვენ კი არა, ზოგადად ყველა ნაციონალს გეხებათ, რომლებიც ხასიათ-პოზიციით, ქალ-კაციანად ტყუპისცალებივით გავხართ ერთმანათს.

**აბა, გაიხსენეთ, როგორ მოიხსენებდით ამავე ვეტერანებს მაშინ, როდესაც მყარად გრძნობდით თავს ტახტზე — ეს ომი ჩვენი ომი არ იყო და რა პატივისცემა-დაფასებას ელითო, და საზეიმო საღამოებს უმართავდით კი არა, 9 მაისობით გამარჯვების პარკში შეკრებილ ვეტერანებსაც ხშირად თითქმის არავინ ხვდებოდა ხელისუფლებისგან!**

**ან თუნდაც ის მომიტინგე ვეტერანები გაიხსენეთ, ამ რამდენიმე წლის წინათ პარლამენტის შენობასთან შეკრებილნი, ხელისუფლებისგან მათთვის წართმეული სოციალური შეღავათების დაბრუნებას რომ ითხოვდნენ, მაგრამ, დაუბრუნეს კი არა, არც ერთი მაღალჩინოსანი არ გამოსულა მათთან თუნდაც სალაპარაკოდ!**

აი, ასეთები, ყოვლად არაადეკვატურნი და არაადამიანურნი იყავით თქვენ, ნაცებო, **მაშინ,** როდესაც ჯერაც შორს იყო არჩევნები, და ასეთები ხართ **ახლა,** როდესაც ეს გაჭირვებული ხალხი უკვე ამომრჩევლად გჭირდებათ.

**აი, სწორედ ამ დროს აკეთებთ ყველაფერს იმათი გულის მონადირებისა და არჩევნების მოგებისთვის.**

**თუმცა, აწი ისევე მოიგებთ არჩევნებს, როგორც სოფელში ჩემი კარის მეზობლის მოზვერი მოიგებს ხბოს!**

**რუსლან რუსია**

◉ ალიან-ჩალიანი

# „ქართულ ოცნებაში", სავარაუდოდ, პრეზიდენტობის ხუთ კანდიდატს განიხილავენ

**„ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა. როგორც სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს პოლიტსაბჭოს წევრმა, დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ განუცხადა, სხდომაზე ორგანიზაციულ საკითხებს, მათ შორის რეგიონებში პარტიის სტრუქტურული ურთიერთობის გაძლიერების თემატიკას განიხილავენ.**

**მისივე განმარტებით, ერთ-ერთი განსახილველი თემა პრეზიდენტობის კანდიდატის საკითხი იქნება. „თუმცა, ეს არ იქნება პოლიტსაბჭოს მთავარი თემა", -— განაცხადა ჩაფიძემ.**

**რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ქართული ოცნება" პრეზიდენტობის კანდიდატებად სალომე ზურაბიშვილს, ვახტანგ ხმალაძეს, არმაზ ახვლედიანსა და კახი კალაძეს განიხილავს, ჩაფიძე აღნიშნულს არც უარყოფს და არც ადასტურებს და აცხადებს, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.**

**დეპუტატ ირინა იმერლიშვილის განცხადებით კი, პოლიტსაბჭოს დღევანდელ სხდომაზე საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბარი არ იქნება, რადგან ეს არა პარტიის, არამედ კოალიციის პოლიტსაბჭოზე გადასაწყვეტი საკითხია.**

**— ჩვენ დღეს გვაქვს პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა. საპრეზიდენტო კანდიდატი კი კოალიციის პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტია, ამიტომ ამაზე არ ვიმსჯელებთ. რაც შეეხება იმას, ვინ შეიძლება იყოს კანდიდატი, ვერ გეტყვით. ჩვენ ვისაც ეს შევთავაზეთ, არც ერთი არ ყოფილა მედიაში დასახელებული. მგონია, რომ ეს უფრო მედიის მიერ დასახელებული კანდიდატებია, თუმცა, შესაძლოა, მათ მეტი იციან, ვიდრე — მე, — განაცხადა იმერლიშვილმა.**

**დეპუტატის განმარტებით, კოალიციას ეყოლება საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც საზოგადოების უმეტესობისთვის იქნება მისაღები.**

**— მე ამაში დარწმუნებული ვარ. გადაწყვეტილებას მიიღებს კოალიციის პოლიტსაბჭო, სადაც პარტიების ლიდერები და პრემიერი შედიან. კენჭისყრა არ იქნება, კანდიდატზე შევჯერდებით კონსენსუსის გზით. პრემიერს რამდენიმე ფავორიტი კანდიდატი ჰყავს. თუ რომელიმე სხვა პარტიას ეყოლება კანდიდატი, დასახელდება. შემდეგ მოხდება განხილვა და გადაწყვეტილება იქნება მიღებული, — აღნიშნა იმერლიშვილმა.**

**ამასთან, არსებული ინფორმაციით, კოალიცია პრეზიდენტობის კანდიდატის შესარჩევად 11 ან 12 მაისს შეიკრიბება, ხოლო კანდიდატის ვინაობას 13 მაისს დაასახელებს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საზოგადოებრივი აზრი

# „ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა ცოტა ხელი უნდა მოუჭიროს თავის გუნდს და კორპორატიული დისციპლინა შეასწავლოს“

**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ალექსანდრე, რაც უფრო მეტი დრო გადის, პოლიტიკური პროცესის დინამიკა ახალი ხელისუფლებისადმი მეტ პასუხგაუცემელ კითხვებს აჩენს. რას შეიძლება ნიშნავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში კორუფციის ფაქტებზე, სტუდენტთა აქციაზე პასუხგაუცემელი კითხვების მომრავლება, ასევე საჯარო სივრცეში სხვადასხვა თემა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განსხვავებული მოსაზრებების თუ ყოველ დღე არა, ყოველ მეორე დღეს ტირაჟირება?**

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში ქართველები მუშაობდნენ. ეტყობა, ქართველებს ყოველდღე გაკონტროლება სჭირდებათ. იქ, სადაც ტრიალებს ფული, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს გააფრთებული. მე ვიცნობ დავით კირვალიძეს და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის არაფერ შუაში არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ მისივე ახლობლებმა მაგრად უღალატეს. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი ფაქტები მომავალში კიდევ გამოვლინდეს. არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, სადაც კორუფცია არ არის, ამიტომ ამას სჭირდება ძალიან მკაცრი გაკონტროლება.

რაც შეეხება სხვადასხვა გამონათქვამს სამთავრობო გუნდში, ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ცოტა ხელი უნდა მოუჭიროს თავის გუნდს და კორპორატიული დისციპლინა შეასწავლოს. საჯარო მოხელე თავისუფალი პიროვნება არ არის. მან უნდა გაახმოვანოს გუნდში მიღებული გადაწყვეტილება და არა — საკუთარი აზრი, სხვანაირად ის, არ გამოდგება გუნდურ მოთამაშედ.

რაც შეეხება კითხვებს, ახალი მთავრობის საქმიანობიდან ჯერ მხოლოდ 6 თვე გავიდა, ვნახოთ, დაველოდოთ წლის ბოლოს.

**— პრემიერს არ დაუმალავს, რომ სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე კორუფციის საქმეზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტას ითხოვდა. თქვენი აზრით, რატომ ითხოვდა კირვალიძე საქმის ძიების შეწყვეტას და რატომ ჩათვალა პრემიერმა აუცილებლობად ამის გასაჯაროება და რა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ეს ყველაფერი?**

— ყველაზე სასტიკად ისჯება გუნდის ის მოთამაშე, რომელმაც შეცდომა დაუშვა. არ ვიცი, ითხოვდა თუ არა კირვალიძე გამოძიების შეწყვეტას, ამის შესახებ ალბათ გენპროკურორს უნდა ჰკითხოთ და არა — მე. თუ ითხოვდა, ძალიან ცუდია.

**— სასამართლოზე წინა ხელისუფლების გავლენისგან გათავისუფლებისთვის ნაბიჯები კი გადაიდგა, რასაც დრო და კანონებში ცვლილებები დასჭირდა, მაგრამ დაპირებების მიუხედავად, არც ერთი სერიოზული საქმე, რომელზედაც არჩევნებამდე ბევრს საუბრობდნენ, ჯერ ბოლომდე გამოძიებული არ არის. თქვენი აზრით, რას შეიძლება ეს უკავშირდებოდეს?**

— ყველამ ვნახეთ, როგორ გაჭირდა სასამართლოების შესახებ კანონის მიღება. პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია, მაგრამ ჯერჯერობით პრეზიდენტს კანონზე ხელი არ მოუწერია და არ ვიცით, იჩივლებს თუ არა პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოში. ესეც კოჰაბიტაციის ნიშანია. ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ, ყველაფერი გაკეთდება ნელა, მაგრამ კარგად.

**— როგორ შეაფასებდით „შრომის კოდექსში“ ცვლილებებს და თქვენი აზრით, რატომ შეიკავა თავი ახალმა ხელისუფლებამ, რომ „შრომის კოდექსი“ მეტად ყოფილიყო ევროპულ „შრომის კოდექსთან“ მიახლოებული?**

— ჩემი აზრით, ეს იმას უკავშირდება, რომ ჩვენ იმ სიტუაციში ვცხოვრობთ, რასაც კოჰაბიტაცია ჰქვია. „შრომის კოდექსი“ კიდევ ბევრჯერ შეიცვლება. ეს მაშინ მოხდება, როცა გუნდი დაკვალიანდება და გაარკვევს, რას აკეთებს — სოციალურად დაცულ დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს თუ მემარჯვენე ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყანას. აქედან გამომდინარე „შრომითი კოდექსი“ კიდევ შეიცვლება. ჯერჯერობით, მასში შეტანილია ის აუცილებელი ცვლილებები, რომელთა გარეშეც ცხოვრება არ შეიძლება.

**— მიუხედავად იმისა, რომ ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსზე საქართველოს დასავლელ პარტნიორებს კითხვები არ აქვთ, პრეზიდენტი და წინა ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავაც განაგრძობენ ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის კრიტიკას. პრეზიდენტმა კახი კალაძის განცხადება რუსული გაზის შესაძლო შემოტანასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი კურსის ფუნდამენტურ გადახედვად შეაფასა. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება რეალობას პრეზიდენტის შეფასება?**

— აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. ვის გადასცა პრეზიდენტმა სამართავად „თელასი“ და „ენგურჰესი“? გაუგებარია, რა ალტერნატივაზე გვესაუბრება პრეზიდენტი. იგი ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომლის უკან რეალურად არაფერი დგას. ეტყობა, მას სხვა სალაპარაკო აღარ დარჩა. თუ შესაძლებელი გახდა რუსული გაზის გარკვეული რაოდენობით შემოტანა, ეს მიწოდების მხოლოდ დივერსიფიკაცია იქნება და არა მასზე დამოკიდებულების გაზრდა. თუ ერთ ხაზზე ავარია იქნა, მეორე ამოქმედდება და ამაში ცუდი და სახიფათო რა უნდა იყოს, გაუგებარია. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მე ირანთანაც დავდებდი კონტრაქტს გაზის მოწოდებაზე და გაზსაცავსაც გავაკეთებდი, თუკი გვინდა, რომ ქვეყანა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი და უსაფრთხო იყოს.

**— „თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი თეა თუთბერიძე ვანო მერაბიშვილს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობაში კარგა ხანია, ადანაშაულებს. მისივე მტკიცებით, არჩევნებამდე 12 დღით ადრე ციხის კადრების გავრცელება შეუძლებელია მერაბიშვილის გარეშე მომხდარიყო. აშკარაა, რომ „ნაცმოძრაობაში“ სერიოზული პროცესები მიდის, სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკურენცია თუ ღია არა, ფარულ დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს. ცხადია, რომ ამ პროცესს „ნაციონალების“ მხრიდან საპრეზიდენტო კანდიდატურის დასახელება აჩქარებს. რა ხდება „ნაცმოძრაობაში“?**

— მეჩვენება, რომ „ნაცმოძრაობა“ ოქტომბერში დაიშლება. ღმერთმა ქნას, რომ მის ნანგრევებზე აღმოცენდეს რაღაც პოლიტიკური ძალა, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებთაც ხელები სისხლში არა აქვთ გასვრილი. თეა თუთბერიძე ჩემთვის ავტორიტეტი არ არის, მე არ მჯერა, თითქოს ივანიშვილსა და მერაბიშვილს შორის რაიმე გარიგება არსებობდეს.

ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობის“ სიღრმეში, როგორც ჭაობში მიმდინარეობს შეუმჩნეველი ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ხანდახან, როგორც ჭაობმა იცის ხოლმე, ზედაპირზე დაპირისპირებების შედეგად გაჩენილი პატარ-პატარა ბუშტები ჩნდება. სინამდვილეში, „ნაცმოძრაობაში“ ვითარება გაცილებით რთულია და შეიძლება თქმა, ტრაგიკულიც, ვინაიდან აშკარაა, რომ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის და პარტიის შიგნით გააფრთებული დაპირისპირებებია.

**— თქვენი აზრით, საპრეზიდენტო კანდიდატად „ნაცმოძრაობა“ ვის დაასახელებს? საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა იქნება იმის მანიშნებელი, თუ როგორია ამ პარტიაში ძალთა თანაფარდობა?**

— ჩემი აზრით, აბსოლუტურად არავითარი აზრი არ აქვს, თუ ვის დაასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატად „ნაციონალები.“ აშკარაა, რომ მათ ვინც არ უნდა დაასახელონ თავის ფავორიტად, საპრეზიდენტო არჩევნებს „ნაციონალები“ ვერ მოიგებენ. ვისაც ჭკუა აქვს, მაგალითად დავით ბაქრაძეს, იმანაც უარი უნდა თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. ამიტომ, სულ არ ვფიქრობ სერიოზულად იმას, თუ ვინ იქნება მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. „ნაციონალების“ პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატს შეიძლება ის ინტერესი ჰქონდეს, რომ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში თუ მის წინააღნდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს და იგი მას მიიღებს.

**— გია ბარამიძის უკანასკნელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ისიც არ გამორიცხავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგივე ბარამიძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა იმისთვის სურდეს, რა პერსპექტივაც თქვენ დახატეთ?**

— არ ვიცი, ეს მას ჰკითხეთ. ბარამიძისადმი ძალიან ბევრი კითხვა არსებობს იგივე სვანეთის საქმეზე და კიდევ სხვა საქმეებზე. მე ბარამიძე არ მიგულისხმია.

**კობა ბენდელიანი**

უკომენტაროდ

# საქართველოში ერთი მილიონი ადამიანი ღარიბია...

**„ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის, შესამჩნევი ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბეში ცხოვრობს, ყველაზე მეტად ზარალდებიან ბავშვები, ბავშვთა მეოთხედზე მეტი ცხოვრობს სიღარიბეში“** — აღნიშნა სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ სიღარიბის შესახებ გამართულ კონფერენციაზე გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში როლანდ მონაშმა. კონფერენცია გაიმართა ჯანდაცვის სამინისტროს, ევროკავშირის წარმომადგენლობის (EU), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობით.

რამდენი ღარიბია საქართველოში? — კითხვას სვამს „ამერიკის ხმის“ ვებგვერდი და იქვე სიღარიბის გამომწვევ მიზეზებზე ფონდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ანალიზის პროექტის ოფიცრის დიმიტრი გუგუშვილის სიტყვები მოაქვს: **„რაც შეეხება ღარიბთა რაოდენობას, ეს რაოდენობა დამოკიდებულია, თუ რომელ ზღვარს გამოვიყენებთ. იმ ზღვრის მიხედვით, რასაც საქართველოს მთავრობა იყენებს, ეს არის დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი. უკიდურეს სიღარიბეში, UNICEF-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, არის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტი, ანუ დაახლოებით 440 ათასი ადამიანი. რაც შეეხება მიზეზებს, მიზეზები ძალიან ბევრია. ერთ-ერთია ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, რომელიც ძალიან დაბალპროდუქტიულია. მოსახლეობის 53 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაში არის ჩართული. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღება საკმაოდ რთულია, თვითონ პროდუქტიულობა არის ძალიან დაბალი. გარდა ამისა, არსებობს დასაქმების პრობლემა ქალაქად...“**

ოფიციალური მონაცემებით, სამუშაო ძალის დაახლოებით 17 პროცენტი დაუსაქმებელია. ეს არის ძირითადი ფაქტორები.

კონფერენციას სახელწოდებით „სიღარიბე საქართველოში — თავისებურებები, გამომწვევი მიზეზები და რეაგირება“ წამყვანი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ქეა მასპინძლობდა. საქართველოში ქეა 18 წელია მოქმედებს და სოციალურად და ეკონომიურად დაუცველ ადამიანებს ეხმარება.

**ნატა ნიბლაძე**

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

- **ერი რომ აშკარად ავადაა და სამწუხაროდ, ავადობის ეტიოლოგიის ძებნა და ქექვა ძალიან შორს წაგვიყვანს, ესეც უდავოა. 5 დღეა, იმ ავბედითი კადრებისა და მთავარი გმირის გარშემო მიდის სჯა-ბაასი, არ ვიღლებით. . . . . ამაზრზენია და მოსაბეზრებელია განუწყვეტლივ ამაზე საუბარი, მით უფრო, რომ ვერავინ ვერასდროს, უბრალო მოკვდავზე მაქვს საუბარი, გაიგებს, ვისი ვიოლინო ვის როიალშია....**

**გეყოთ, რააააააააააააა..... ჩვენ მარიონეტები ვართ და ჩვენივე ძაფებზე გვახრჩობენ. . .**

- **აფერისტი და პათოლოგი ხალხი ვყოფილვართ :) ყველაზე მეტი მხილველი და რეზონანსი სწორედ იმ ვიდეოებს,იმ პუბლიკაციებს და იმ გადაცემებს აქვთ, რომლებსაც თითქოს ყველაზე მეტად ვაპროტესტებთ და მის დამდებს ან დამწერს ვლანძღავთ....იქვე კი დევს ულამაზესი ლექსი ან სიმღერა, ან სიკეთეზე დაწერილი ნამდვილი ამბავი და ხშირად არც ერთხელ არავინ ნახულობს...**

**პოზიტივი წამგებიანია ჩვენთან და ამიტომაც ხარობს ნეგატივი :)**

- **კაცოუუ, თუ ვიღაცეების პორნო კადრების გამოქვეყნებაზე მთელი მასმედია, არასამთავრობო სექტორი და ძალოვანი სამინისტროები (თავდაცვის სამინისტროს გარდა) ფეხზე დადგა, მარგველაშვილის სტუდენტებთან პრივატული (და სავარაუდოდ ძალიან საინტერესო) საუბარი რომ გაასაჯაროეს და ახლა იმ კაცის (ვინც უფასო სახელმძღვანელოებს ურიგებს ჩვენს შვილებს) მოხსნას ითხოვენ, სწორია ვითამ? (თუ დასავლური ცივილიზაცია არ ცნობს როზა ლუქსემბურგს და უფასო სახელმძღვანელოებს?**

- **ბიძინა ბატონო, დაშალე ეგ პარლამენტი და კოალიცია! ვნახოთ ერთი უშენოდ რამდენი „რჩეული პოლიტიკოსი“ მოხვდება ახალ პარლამენტში? არ გაინტერესებს მაინც შე კაი კაცო?!**

- **„იდენტობაში“ რამდენნი არიან დასაქმებულები, ხელფასს ღებულობენ და ოჯახებს არჩენენ. ე.ი. ერთ უკანალზე რამდენი ადამიანის ოჯახია მიბმული და მიფიჩინებული.**

**ხომ ხედავთ აქ მთელი ეკონომიკური გათვლებია.**

**თქვენ კიდე პიდარასტებს უძახით. არ გრცხვენიათ?**

- **კვერცხები ირწმუნებინ, რომ ხუხაშვილის გარეშე წიწილებად ვერ იქცევიან...**

- **როგორც კი ადეიშვილი და ძმები ახალაიები საქართველოდან გაიქცნენ (თავის მიმყოლებიანად), მაშინვე დავწერე, კომპრომატები გაიტანეს, რომ არჩევნების დროს ამით დააშანტაჟონ ხალხი-მეთქი. როგორც ჩანს, ეს შანტაჟი მანამ გაგრძელდება, სანამ საპრეზიდენტო და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება და ეს შავი ჭირი, სახელად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ერთიანად და სამუდამოდ არ ამოიშანთება საქართველოს უახლოესი ისტორიიდან. ახლა წავიკითხე და სიცილით მოვკვდი... გიგას ცოლი ამბობს, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ასლან აბაშიძის დროში დავბრუნდი და არ მინდა, ჩემი პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები ინტერნეტში ვიხილოოო... მართალი გითხრათ, არ მეგონა ასეთ„უმწიკვლო“ ქალს ინტიმური ცხოვრების „დეტალებიც“ თუ ჰქონდა... ამ ოჯახის საქმიანობის დეტალები მართლაც საინტერესო იქნება, მაგრამ არა ინტიმური ცხოვრების და თანაც ამ ქალის, რაც არა მგონია, დიდ ინტერესს იწვევდეს :)))) ჰო, ისა... თამარ, ასლანის დროში კი არ დაბრუნდი, იქედან არც გამოსულხარ... ასლანი რა მოსატანია იმ მეთოდებთან, რომლებიც შენგან მხარდაჭერილმა რეჟიმმა ბოლშევიკებისგან გადმოიღო, დახვეწა და ლამის მუხლებზე დააჩოქა საქართველოს მოსახლეობის 80%... ასე რომ, დაოკდი... დეტალებს გაუფრთხილდი, არ გაგიცივდეს :)**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ნაღმი, რომელიც შეიძლება აფეთქდეს




სამი დიდი მუსლიმანური სახელმწიფო - აზერბაიჯანი, ირანი და ერაყი ქვემო ქართლში გავლენის მოსაპოვებლად იბრძვის

**„ეს არ არის ხელჩართული ბრძოლა იარაღის კომპონენტით. აქ ბრძოლა მიდის მორწმუნეებსა და საზოგადოებაზე გავლენის მოსაპოვებლად. გავლენის მოპოვების პროცესში კი მთავარ იარაღად რელიგია არ გამოიყენება, მთავარ იარაღად გამოიყენება პირადი ავტორიტეტი და ფული“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ქვემო ქართლში მოქმედი ერთ-ერთი ორგანიზაციის აქტივისტმა. მისივე ინფორმაციით, რეგიონში ძირითადად ისლამის შიიტური მიმდინარეობის სახელმწიფოები იბრძვიან. ამის მიუხედავად, ძლიერი გავლენები აქვთ ვაჰაბიტურ ორგანიზაციებს, რომლებიც მართალია ჯერჯერობით შიიტებს ვერ „ჯაბნიან“, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მომხრეებს იკრებენ.**

როგორც ცნობილი გახდა, მართალია, ერაყი აქ მხოლოდ ორგანიზაციებით არის წარმომადგენილი და მისი ბრძოლა ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, იგი ამ პროცესში თამაშგარედ დარჩენილი მაინც არ არის.

როგორც სააგენტოსთან საუბარში, ქვემო ქართლში მოქმედი ერთ-ერთი „საგანმანათლებლო“ ორგანიზაციის წევრი განმარტავს, ბრძოლა გავლენისათვის (ჯერჯერობით მხოლოდ გავლენებისთვის) შიდა ბრძოლის ხასიათს ატარებს და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არ არის, მაგრამ ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბოლოო ჯამში თუ ამას ყურადღება არ მიექცა და ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოში არ მოექცა, შედეგი იქნება საკმაოდ მძიმე და „ბრძოლას“ ანტისახელმწიფოებრივი სახე მიეცემა. წყაროს ინფორმაციით, ქვემო ქართლიდან სხვადასხვა მუსლიმანურ სახელმწიფოებში ადამიანები განათლების მისაღებადაც მიჰყავთ, ძირთადად ირანის სასულიერო სასწავლებლებში. თუმცა, არის შემთხვევები, რომ გადიან საერო განათლების მისაღებადაც. მისივე განმარტებით, საერო განათლების მისაღებად წასული ადამიანების უმრავლესობა უკან არ ბრუნდება. უკან მხოლოდ სასულიერო განათლებამიღებული პირები ბრუნდებიან.

სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში შიიტიზმი ტრადიციული მიმდინარეობაა და თურქული გავლენები, 90-იანი წლებისგან განსხვავებით, დღეს ქვემო ქართლში მინიმალურია. თურქეთი აქ გავლენის შენარჩუნებას ზოგიერთი ეკომიგრანტული თემის მეშვეობით, ანუ აჭარიდან გადმოსახლებულების ხარჯზე მაინც ახერხებს. ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ რეგიონში ძირითადად მაინც შიიტური ორგანიზაციები და ქვეყნები აქტიურობენ.

გავლენის მოპოვების მთავარ იარაღად გამოიყენება ავტორიტეტი და ფული. სწორედ ამ ორი კომპონენტის მეშვეობით ცდილობენ აქ ხალხის გადაბირებას.

**„ხალხს ფულსაც ურიგებენ, ხელფასზეც ჰყავთ აყვანილი თავისი ე.წ. ემისრები. ხელფასი სიმბოლურია — 400 ლარი. არის გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ფულს იღებენ და ასრულებენ ე.წ. ემისრის მოვალეობას საზოგადოებასთან საუბრით, დარწმუნებით და ა.შ. არჩევენ ავტორიტეტულ ადამიანებს. განსაკუთრებული აქცენტები კეთდება პერსპექტიულ ახალგაზრდებზე. რა თქმა უნდა ახალგაზრდების პირადი მისწრაფებები და შესაძლებლობებიც კლასიფიცირებულია. იმ ვითარებაში, როდესაც ქვემო ქართლის ბევრ სოფელში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ რთულია და განათლების დონე სავალალო, უბრალო ადამიანები იოლად მიყვებიან ამ ე.წ. ემისრებს“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენის“ წყარო.

ამავე წყაროს ინფორმაციით, არც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე და არც ახალი ხელისუფლების პირობებში არსებული ტენდენციის საპირისპირო მექანიზმები „ცენტრიდან არ ჩანს“.

**„რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებისთვის თითქოს უცნობია რეგიონში არსებული ვითარების შესახებ. არ ვფიქრობ, რომ ამ ვითარების რაიმე სახის კონტროლი ხდებოდეს. ერთადერთი, შესაძლებელია, მხოლოდ ინფორმაციები გროვდება. მაგრამ აქაც არის კითხვა. თუ ამ ინფორმაციების სწორი ანალიზი ხდება, მაშინ, გაუგებარია რატომაა პროცესები ასე მიშვებული?“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენის“ წყარო.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ექსპერტს კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძეს** დავუკავშირდით:

— მართალი ბრძანდებით, ეს არ არის ხელჩართული ბრძოლა იარაღის კომპონენტით. დღეს პირიქით, მაქსიმალურად ლოიალურია აზერბაიჯანული მოსახლეობა სახელმწიფოს მიმართ და უნდა ითქვას, რომ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამ ბრძოლაში მონაწილეობენ, ითვალისწინებენ ხალხის განწყობას და არ ცდილობენ ანტისახელმწიფოებრივი მუხტის გაღვივებას. საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით ბრძოლა მიმდინარეობს ერთმანეთში გავლენებისათვის — შიიტებსა და შიიტებს შორის, მაგალითად ირანსა და აზერბაიჯანს შორის. რაც შეეხება ვაჰაბიტურ ორგანიზაციებს, რა თქმა უნდა, ისინიც ცდილობენ გავლენის მოპოვებას. ისინი ეწინააღმდეგებიან შიიტიზმის გავლენის გაძლიერებას — მოკლედ შიდა ბრძოლაა.

**— დიდი ხანია ეს „ბრძოლა“ მიმდინარეობს?**

— 90-იანი წლებიდან მოყოლებული ასეა, მაგრამ თუ ადრე თურქეთის გავლენა სერიოზული იყო, დღეს ასე აღარ არის. აქტიურ ფაზაში ეს ბრძოლა კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ამას არა აქვს რაღაც ისეთი, განსაკუთრებული გამომწვევი გარეგნული იერი. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ახალგაზრდა სასწავლებლად წაიყვანეს სხვადასხვა რელიგიურ სასწავლებელში, არაბულ სამყაროშიც ბევრი იმაღლებს თავის რელიგიურ ცოდნას. მაგალითად, მე ვიცი, რომ ზოგი მათგანი უკვე 10 წელზე მეტია ცხოვრობს იემენში, საუდის არაბეთში, ქუვეითში და იქიდან ცდილობენ, ასე ვთქვათ, პროცესებზე ზეგავლენას ქვემო ქართლში. მთავარი აქ მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის შიიტურ სახელმწიფოებს შორის გარკვეული ბრძოლა გავლენებისთვის მოკლედ, ერთგვარი რელიგიური აჯაფსანდალია.

**— გვაქვს ინფორმაცია, რომ სასულიერო განათლებამიღებული ახალგაზრდები, რომლებიც ბრუნდებიან, ავტორიტეტულად გამოიყურებიან ქვემო ქართლში და ისინი თითქმის ავტომატურად ხდებიან მთელი სოფლისა თუ ადამიანების ჯგუფის ლიდერები.**

— საქმე ის არის, რომ ქვემო ქართლმა ბევრი განათლებული ადამიანი მისცა აზერბაიჯანულ სივრცეს. მაგრამ ამ ადამიანების დიდი ან გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად უკან არ ბრუნდება. ვისაც საერო განათლება აქვს მიღებული, ისინი სხვადასხვა თანამდებობას თუ მდგომარეობას იკავებენ აზერბაიჯანშიც და რუსეთშიც. უკან საერო განათლებამიღებული ადამიანების დიდი ნაწილი არ ბრუნდება, და სასულიერო განათლებამიღებულების დიდი ნაწილი ბრუნდება.

**— რას აკეთებს ამ დროს საქართველოს მუსლიმანთა სამმართველო ? თავად საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები აცხადებენ და ეს „ჯი-ეიჩ-ენსაც“ განუცხადეს, რომ საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს შიიტური მიმართულების ხელმძღვანელი შეიხი ვაგიფ აკპეროვი მინიმალური ავტორიტეტით სარგებლობს. აცხადებენ, რომ ის ხელოვნურად, კონიუქტურიდან გამომდინარე დაინიშნა ამ თანამდებობაზე.**

— ვაგიფ აკპეროვიც და სხვათა შორის, აჭარის მუფტიც გასული წლის 18 ნოემბერს იმყოფებოდნენ ევრაზიულ-ისლამურ კონფერენციაზე. ეს იყო თურქეთის მთავრობის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, სადაც აფხაზეთი წარმოდგენილი იყო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და არც ერთს პროტესტი ამის გამო არ გამოუთქვამს. ერთი ადამიანი, რომელმაც პროტესტი გამოთქვა, იყო ალაჰშუკიურ ფაშაზადე — აზერბაჯანის მუფტი და კავკასიის მუსლიმანთა სულიერი ლიდერი. ხოლო საქართველოს წარმომადგებლებს, მათ შორის არც აკპეროვს და არც აჭარის მუფტის, არანაირი წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ. აქედან გამომდინარე, ხედავთ როგორ სახელმწიფოებრივად აზროვნებენ ეს ადამიანები და განსაკუთრებით შეიხი აკპეროვი.

**— ახლახანს შეიქმნა ორგანიზაცია საქართველოს პატრიოტ აზერბაიჯანელთა კავშირი, რომელიც უპირისპირდება სწორედ ამ შეიხს და არა მხლოდ მას — უპირისპირდება იმ პროცესებს, რომლებიც ქვემო ქართლში მიმდინარეობს.**

— აზერბაიჯანელების ის ნაწილი, რომელიც თავის სამშობლოდ მიიჩნევს საქართველოს და ძალიან აქტიურია ამ თავისი პოზიციის გამოხატვაში, მაქსიმალურად ცდილობს, ავტონომიური იყოს — სხვა ქვეყნებისგან იყოს ავტონომიური, სხვა გავლენებისგან იყოს ავტონომიური. ისინი მოითხოვენ ისეთი ხელმძღვანელობის შერჩევას, რომელიც მათი ნება-სურვილიდან იქნება გამომდინარე და მეორეც, რომლებიც სახელმწიფოებრივად იაზროვნებენ და იქნებიან საქართველოს სახელმწიფოს ერთგულნი, და რაც მთავარია, ექნებათ ავტორიტეტი.

**— რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება?**

— ჩვენი სახელმწიფო ამ წუთში ვერაფერსაც ვერ აკეთებს, იმიტომ, რომ ჯერჯერობით უზენაეს ხელისუფლებას, თავისი დაკავებულობიდან გამომდინარე, აქამდე ხელი არ მიუწვდება. თუმცა ვითარების მოგვარების ბერკეტები არსებობს და სიტუაცია მართვადია.

ზოგადად საქართველოს მუსლიმანები ნომინალურად ექვემდებარებოდნენ კავკასიის მუსულმანთა ლიდერს ალაჰშუკიურ ფაშაზადეს.

საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო იმის თაობაზე, რომ საქართველოს მუსლიმანთა თემი გამოეყვანა ამ ადამიანის გავლენიდან და შექმნა დამოუკიდებელი მუსლიმანთა სამმართველო, რომელიც თავის ფუნქციას ნამდვილად არ ასრულებს, მაგრამ სამაგიეროდ დამატებითი პრობლემები საქართველომ შეიქმნა თავისთვის. ბუნებრივია, ალაჰშიკურ ფაშაზადესათვის მიუღებელი იყო ეს ნაბიჯი. მოკლედ ასეთი არეული სიტუაციაა და დალაგება სჭირდება ამ ყველაფერს.

**— და ვინ არის ამ ვითარების დამლაგებელი?**

— საქართველოში არის პოლიტიკური ნებაც, არიან პროფესიონალებიც. არის სხვა მრავალი კომპონენტიც, რომელიც ვითარებას დაალაგებს და ამ ყველაფერს სისტემაში მოაქცევს.

**— ხელისუფლების დაკავებულობა ახსენეთ და თუ ვერ მოხერხდა ამ სიტუაციის დალაგება, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ყველაფერი?**

— რადგან გესაუბრებით ამ თემაზე, ესე იგი გვაქვს ინფორმაცია ვიცით როგორ მივხედოთ ამ საქმეს. ახლა პოლიტიკური ნებაა საჭირო და შესაბამისი, ასე ვთქვათ, სტრუქტურის ამოქმედება.

ეკა მომცელიძე

ალიან-ჩალიანი

## 15 ათასი წლის წინათ ევროპელები და აზიელები საერთო ენაზე საუბრობდნენ, რომლის წარმოშობის ადგილი საქართველოა

**15 ათასი წლის წინათ ევროპელი და აზიელი ადამიანების წინაპრები საერთო ენაზე საუბრობდნენ, რომლის წარმოშობის ადგილი, სავარაუდოდ, კავკასია, კერძოდ კი ახლანდელი საქართველოა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დასავლელი მეცნიერები. ინფორმაციას ამის შესახებ Fox News ავრცელებს ჟურნალ Proceedings of the National Academy of Sciences-ზე დაყრდნობით.**

**— ჩვენ შეგვიძლია ენის კვალს 15 ათასი წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესაბამება, — განაცხადა კვლევის თანაავტორმა მარკ პეგელმა, რედინგის უნივერსიტეტის ბიოლოგმა. თუმცა, ყველა ლინგვისტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ერთ ენაზე საუბრობდნენ და ცდილობენ საპირისპიროს დამტკიცებას. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ ენის ფესვების კვალს 3 000-დან 4 ათასამდე წლის წინ მივყავართ. მარკ პეგელის მოსაზრებით, 23 სიტყვა, მათ შორის „მე“, „შენ“, „დედა“, „კაცი“, „ცეცხლი“ და „ხელი“, არ არის გამორიცხული ისევე ჟღერდეს, როგორც 15 ათასი წლის წინ.**

**მექსიკის უნივერსისტეტის ლინგვისტი უილიამ კროფტი კი მიიჩნევს, რომ კვლევა ასევე უშვებს იმის შესაძლებლობას, მეცნიერებმა გააერთიანონ ლინგვისტური მონაცემები არქეოლოგიასთან და ანთროპოლოგიასთან კაცობრიობის პრეისტორიის მოყოლის მიზნით. ასე მაგალითად, უძველესი მიგრანტებისა და ადამიანთა შორის კონტაქტის ხელახლა აღდგენით.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№85. ხუთშაბათი, 9 მაისი, 2013 წელი.

# ორ საკითხთან დაკავშირებით ატეხილი სიტყვიერი ბრძოლა

**ხელისუფლება-ოპოზიციის სიტყვიერი ბრძოლა გრძელდება. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ნაცები და მათი ბელადი ოდნავ სხვაგვარად ნათქვამ სიტყვას არ პატიობენ „ოცნებას“ და მათ ლიდერ ივანიშვილს. იტყვის რაღაცას ივანიშვილი და მას უმალ მოჰყვება ნაცთა მხრიდან ლანძღვაში გადასული კრიტიკა. მაგიდის ჩოგბურთისა არ იყოს, ნაცთა გამოშვებულ ბურთულას ოცნებელები იღებენ და შესაბამისი დამუშავების შემდეგ ისევ ნაცთა მხარეს აბრუნებენ.**

ბურთულის აქეთ-იქით ფრიალს შვიდი თვე შეეწირა – ქვეყნის აღმშენებლობისთვის საჭირო დრო. ხელისუფლება-ოპოზიცია არ აპირებენ მსგავსი მძაფრი პაექრობის შეწყვეტას, რაც უპირველესად ოპოზიციას აწყობს. მისი საქმე კრიტიკაა – ხელისუფლების კრიჭაში დგომა. მან მოახერხა ხელისუფლებისთვის საკუთარი თამაშის წესების თავსმოხვევა. ოპოზიციას აყოლილი ხელისუფლება, არა მარტო სიტყვიერ შეცდომებს უშვებს, არამედ საქმიანსაც, რაც თავისთავად აძლევს ოპოზიციას პოლიტიკურად მომგებიანი კოზირების დაგროვების შანსს. ვინ იცის, რა დროს, რა შემთხვევაში გამოიყენებს ის ამ კოზირებს?!

ოპოზიციამ ისიც მოახერხა, რომ გამარჯვებული ხელისუფლება მუდამ თავის მმართლებლად გადაექცია. გახშირდა ივანიშვილის განცხადებები – „მე, ასე არ მითქვამს, სხვანაირად ვთქვიო“. არადა, რომ „ასე“ თქვა, გულმოდგინედ აფიქსირებს ჩასაფრებული „რუსთავი-2“.

**ბოლოდროინდელი „კარგი მთქმელის კარგი გამგონის“ თემა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, როგორებიცაა 2008 წლის აგვისტოს ომი და საქართველოში ტერორისტების მომზადება. ივანიშვილის მიდგომა ამ საკითხებისადმი გულწრფელი და სამართლიანია, ამასთანავე სინამდვილის გამომხატველი, მაგრამ გამეორების დროს, გაცილებით თავშეკავებული, ვიდრე პირველ შემთხვევაში.**

ივანიშვილის ნათქვამმა „ომი საქართველომ დაიწყოო“, იმთავითვე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება. ზოგს გაუხარდა – ბოლოსდაბოლოს სინამდვილე ითქვაო, ზოგს ეწყინა – ასეც რომ ყოფილიყო, მტრის „ჯინაზე“ მაინც არ უნდა ეთქვაო. პირველი ნათქვამი 2011 წლის შემოდგომაზე იყო, ივანიშვილის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე.

წელიწადზე მეტი გავიდა ამ ნათქვამიდან, მაგრამ მას აქტუალურობა არ დაუკარგავს, პირიქით – დღითი დღე იძენს გულშემატკივრებს, იფართოებს მომხრეთა წრეს. ეს აცოფებს ნაცებს – შემოდგომის ბუზებივით მწარედ რომ იკბინებიან. „პრემიერ-მინისტრი ამგვარი განცხადებებით შეურაცხყოფს საქართველოს, მის სახეს ამახინჯებსო“, – ამბობენ ნაცები. თითქოსდა მართლაც გული შესტკიოდეთ ქვეყანაზე, თითქოსდა რამე დადებითი გაეკეთებინოთ ამ ქვეყნისთვის.

მათი ცხრაწლიანი მმართველობის ხანა აშკარა ამსახველია ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილი ბოროტებისა, მაგრამ ნაცები ყვირიან, ვინაიდან მიაგნეს ხელისუფლების კოალიციური ჯაჭვის სისუსტეს. გარდა ამისა, მათ კარგად იციან, რომ თავდაცვის საიმედო იარაღი თავდასხმაა, ამასთანავე დასავლელ პარტნიორებთან გამუდმებული კონტაქტი, ერთად შეკვრა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ.

**დასავლეთისთვის არც ივანიშვილის განცხადებაა გასაოცარი და არც საქართველოს მოსახლეობის ცხოველი ინტერესი დახურული თემის გამომზეურების მიმართ. მისთვის მთავარია, საომარი მოქმედებების დაწყების საქმეში დასავლელთა აქტიურობის მიჩქმალვა, ამერიკისა და ევროპის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევა. დასავლეთის მიზანი ერთია – 2008 წლის ომში მისი წარმმართველი როლის გაბათილება.**

ივანიშვილის განცხადება არ გადის ქვეყნის საზღვრებიდან. არადა, რომ გავიდეს, ჩირქი დასავლეთსაც მოეცხება, შესაძლოა უფრო მეტად, ვიდრე მაშინდელ ხელისუფლებას. დასავლეთმა იცის, რომ ივანიშვილმა იცის, ომისაკენ სააკაშვილის ხელის მკვრელის ვინაობა და ცდილობს, როგორმე გასაჯაროება არ დაუშვას. არადა სრული შანსია, რომ გამოუცდელმა პოლიტიკოსმა, მისდა უნებლიედ, წამოისროლოს რაღაც, მერე უყარე კაკალი.

აშშ-ს ჯერაც არ განელებია პალესტინური საკითხის სიმწარე, როდესაც გაეროში პალესტინის სასარგებლო კენჭისყრას, ყველასდა გასაკვირად, საქართველომაც დაუჭირა მხარი. „ამერიკის ელჩმა მთხოვა ასე მოქცევაო“, – განაცხადა ებრაელ ბიზნესმენთან მოლაპარაკე ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი დაბეჯითებით აცხადებს, რომ „ომი საქართველოს არ დაუწყია, ყოველ შემთხვევაში, მე ეს არ მითქვიაო, რაც მე ვთქვი, ისაა, რომ ომი საქართველომ კი არა, სააკაშვილმა დაიწყოო“. ივანიშვილის მიხედვით, სააკაშვილი სხვაა, საქართველო - სხვა. ნაცების მიხედვით, სააკაშვილი და საქართველო ერთია, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ომს მთელი ერი ვერ დაიწყებდა.

**ეს და სხვა საკითხები ერმა არჩეულ პარლამენტსა და პრეზიდენტს მოანდო. სამწუხაროდ, სწორედ მისმა (ხალხის) არჩეულმა პრეზიდენტმა დააყენა ხალხი ფაქტის წინაშე. ჩავთვალოთ, რომ ომის დაწყებასთან ხალხი, პირდაპირი მნიშვნელობით, არაფერ შუაშია, მაგრამ როდესაც გაიგო, რა გააკეთა?! არც არაფერი.**

რა უნდა გაეკეთებინა, – იტყვის მავანი. ყოველ შემთხვევაში თავი უნდა შეეკავებინა პარლამენტის შენობის წინ ცეკვა-თამაშისგან და ხელისუფლების მხარდასაჭერი „მიშა-მიშას“ ბლავილისგან, თავი უნდა შეეკავებინა თბილისისა და საქართველოს ქუჩებსა და გზებზე ცოცხალი ჯაჭვის გაბმისგან და სხვა.

საქართველოს ხარჯზე ცუდად მოიქცნენ პოლიტიკური პარტიებიც. მათ უმალ დაუჭირეს მხარი ხელისუფლებას, ნაცვლად იმისა, რომ ემხილათ ის დანაშაულში და მოეთხოვათ მისი სასწრაფო გადადგომა. მყისიერ რეაქციას, უდავოდ, მოჰყვებოდა ხელისუფლების ცვლა და, რაც მთავარია, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არ აღიარება. მაგრამ ხალხმა ვერ გაბედა, პირიქით აჰყვა ნაცთა პროპაგანდას, რაც ნაწილობრივ დღესაც გრძელდება.

როდესაც ლაპარაკია აგრესიაზე ერაყსა და ავღანეთში, იშვიათად თუ ახსენებენ აშშ-ის ადმინისტრაციას, რასაც ამბობენ არის – აშშ-ის აგრესია ერაყსა და ავღანეთში.

ხალხი კოლექტიურ გადაწყვეტილებას მხოლოდ არჩევნების დროს იღებს. ცალკეულ შემთხვევაში, ის იძულებულია, მიენდოს მის მიერ არჩეულ მთავრობას. არ მოგწონს? – არჩევნებზე გააშავე. არ მოეწონა ფრანგებს სარკოზი და გადაირჩიეს. აირჩიეს სოციალისტი ოლანდი. ის მაშინ მოსწონდათ. დღეს არა – განსაკუთრებით ერთი სქესის ადამიანთა ქორწინების დაკანონებისთვის.

მილიონზე მეტი ფრანგი გამოიყვანა ამ საკითხმა პარიზისა და სხვა ქალაქების ქუჩებში. მათმა ხმამ ვერ შეაცვლევინა ხელისუფლებას გადაწყვეტილება. ამჯერად ხალხი დამარცხდა, მაგრამ დროებით. ოლანდის ხელისუფლებას უამრავი პრობლემური საკითხი აქვს მოსაგვარებელი და თუ რომელიმეზე ფეხი წამოკრა, ხალხი არ დააყოვნებს რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნას. თუ ეს არა, რიგით არჩევნებზე ოლანდს მხარს არ დაუჭერს.

იმ დალოცვილ დასავლეთს ჩვენთვის ერთი რამ აქვს სანატრელი - მასების პოლიტიკური სიმწიფე, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და შეუპოვარი ბრძოლა. იქ, როდესაც საყვარელი ხელისუფლება უშვებს შეცდომას, არავინ იტყვის - ვაცალოთ, ახალია და ისწავლისო. ამომრჩეველი დაუნდობელია, ამიტომაცაა ევროპის ქვეყნებში სისტემატური ვადამდელი არჩევნები. პატარა შეცდომა და ხალხი ქუჩებშია. ხალხი აკონტროლებს თავის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. ჩვენთან, მსგავსს კარგა ხანს არ ექნება ადგილი, რამეთუ არც პოლიტიკური ცოდნაა და არც სურვილი.

23-წლიანმა თვალთმაქცობამ, უკუღმართობამ ფეხქვეშ გათელა პატიოსნება – თანაც იმ დონეზე რომ, სიტყვა პატიოსნებაც კი დასაცინია. ფულის ტრფიალმა წალეკა პატიოსნებაც, ეროვნულობაც, ქვეყნის სიყვარულიც, ყოველივე ის სიკეთე, რომელიც უხვად იყო ჩვენს ნაძაგებ ტოტალიტარულ საბჭოეთში.

დამოუკიდებლობის არცთუ მცირე პერიოდს არ მოუტანია ისეთი აღზევება მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, ეკონომიკაში, როგორ-



საც ველოდით. პირიქით, რაც მივიღეთ – დაცემაა, თითქმის ყველგან, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

საზოგადოება გახდა „გამორჩენისტი“. ამ გაგებით ხან „მოქალაქეთა კავშირს“ მიეტმასნა, ხან „ნაციონალურ მოძრაობას“, ხან „ოცნებას“. ხალხი „მე რა მექნებას“ პრინციპით მოქმედებდა და მოქმედებს. მისთვის უცხოა საზოგადო ანუ საქვეყნო ინტერესები. ის დღევანდელ კვერცხზე ფიქრობს, ის ურჩევნია, ვინაიდან ქათმის ლოდინის თავი არ აქვს.

**ხალხი ხელისუფლების მონაა და არა მაკონტროლებელი. მონური მორჩილება თავისთავად ქმნის ხელისუფლებაში უკონტროლობის, დაუსჯელობის, ყოვლისშემძლეობის განცდას. ამ განცდებით იცხოვრა შევარდნაძის ხელისუფლებამ 1992 წლიდან დაწყებული, 2003 წლის ნოემბრამდე. მან ყველაფერი იკადრა საკუთარი ხალხის გასაძარცვად, გასაუპატიურებლად. იმაზე მეტიც, რისი კადრებაც მივარდნილი აფრიკული ქვეყნისთვისაც მიუღებელი იყო. ხალხს, რომ 2003 წლამდე გამოეღვიძა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა.**

ანალოგიური იყო ნაცთა ცხრაწლიანი მმართველობისას. ღრმად შეურაცხყოფილმა ხალხმა მხოლოდ 2012 წელს გამოიღვიძა. ხანგრძლივი პაუზებით ვცხოვრობთ, არადა თანამედროვეობა სხვა ტემპს მოითხოვს – შეცდომის სწრაფ გამოსწორებას.

ახალი ხელისუფლება არაერთ სამართლიან კითხვას ბადებს. მათზე პასუხები არ ჩანს. რაც ჩანს, იმდენად მიუღებელია, რომ ნუ იტყვით! პასუხებში მთავარი აქცენტი თავის მართლებაზე და იმის მტკიცებაზეა გაკეთებული – რაც დაგპირდით, შევასრულეო. ხელისუფლების უკმაყოფილოთა რიცხვი რომ გაზრდილა, ფაქტია, მაგრამ სად ან რაში აისახა ეს? თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა სატელევიზიო, უფრო ზუსტად, რადიო გამოკითხვას – არსად.

მაგალითად, რადიო „პალიტრა“, შუალედურ არჩევნებამდე, სისტემატურად ატარებდა გამოკითხვას – ვის უჭერდნენ მხარს ამ არჩევნებში. არც ერთ შემთხვევაში „ოცნების“ კანდიდატებს არ მიუღიათ შესაბამისი მხარდაჭერა, მაგრამ არჩევნებში სამივემ დამაჯერებლად გაიმარჯვა. რას ნიშნავს ეს? უპირველესად, ხელისუფლების მიმართ გაუაზრებელ კუდის ქიცინს.

ამ გამარჯვებამ მეტი თავდაჯერებულობა შემატა ხელისუფლებას, არადა სახალხო უკმაყოფილებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, თუნდაც ერთ რაიონში „ოცნების“ დამარცხება, რამეთუ ეს დამარცხება მთლიანობაში მას ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ გამარჯვების ეიფორიაში მყოფს გამოაფხიზლებდა. გამოფხიზლებას კი, შესაძლოა, დანაპირების ნამდვილი შესრულება მოჰყოლოდა.

ამომრჩეველსა და არჩეულს შორის ურთიერთობა მუდმივი ბრძოლისა და კონტროლის საგანია. მას არ შეიძლება ჰქონდეს შესვენება, პაუზა, გამამართლებელი არგუმენტები. ამ მუდმივ ციკლში გამარჯვებული ამომრჩეველი უნდა იყოს და არა არჩეული, როგორც ჩვენშია. ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აკადრებს ამომრჩეველს ისეთი მოწოდებით მიმართოს, როგორიცაა – წინა, დამნაშავე ხელისუფლებას შეუნდეთო.

ნუთუ ასე ადვილია აპატიო დამნაშავეს საკუთარი ოჯახის შეურაცხყოფა, წამება, დასჯა, გაპარტახება, შვილებისა და ახლობლების ხოცვა, ქვეყნის დოვლათის დატაცება, ტერიტორიების დაკარგვა და სხვა?!

**დამნაშავე უნდა დაისაჯოს. დაუსჯელობა ახალი დანაშაულის ჩადენის საბაბს იძლევა. ჩვენზე გაცილებით დაწყობილ, დემოკრატიულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპის, დამნაშავე პოლიტიკოსს კი არა, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს სჯიან და თქვენ წარმოიდგინეთ სამეფო კარის (ესპანეთი) წარმომადგენელსაც. სწორედ დემოკრატია მოითხოვს ამას. ჩვენ რა, უფრო მეტად დემოკრატები ვართ, ვიდრე ძირძველი ევროპელები?!**

**შენდობის წინადადება რომ ევროპაზე ნაკლები დემოკრატიიდან მოდის, ეჭვი არავის ეპარება. ამერიკა ხმას იღებს იმათ სასარგებლოდ (ამ შემთხვევაში ნაცების), ვინც თვითონ გამოზარდა. ამერიკა, ნაცების დაცვით, საკუთარ თავს იცავს და არა ყბადაღებულ დემოკრატიას. ისეთი დემოკრატია, რომელიც საქართველოშია, არათუ თავზე ხელის გადასმას, ამოძირკვას საჭიროებს. რა დემოკრატიაა ის, როდესაც უდანაშაულო ხალხს ციხეში ამწყვდევ, მეზობელ ქვეყნის წინააღმდეგ ტერორისტებს ამზადებ, პროვოკაციებს აწყობ და შემდეგ ამ პროვოკაციებისთვის მეზობელს ადანაშაულებ?!**

ნამდვილი დემოკრატი და საქართველოს გულშემატკივარი აშშ არ მისცემდა სააკაშვილსა და ნაცებს იმ დანაშაულებათა ჩადენის უფლებას, რაც მათ ჩაიდინეს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, სამყარო რომ მართლაც დემოკრატიაზე იყოს აწყობილი. ვაი, რომ ეს ასე არ არის, რაც არის საკუთარი ინტერესების დაცვაა, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან.

თვალი გადავავლოთ აშშ-ის მიერ ბოლო წლებში „დემოკრატიისთვის“ განხორციელებულ აგრესიას იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, ამჯერად, სირიაში. არც ერთ მათგანში არ ხდება დემოკრატიული მშენებლობა. ვინ დაამტკიცებს, რომ ომის შემდგომ ერაყში, ლიბიაში უფრო მეტი დემოკრატიაა, ვიდრე სადამ ჰუსეინის ან მოამარ კადაფის დროს?!

ამერიკა დემოკრატის ტიტულით დაგასაჩუქრებს, თუ მისი ხარ, მის დავალებებს ასრულებ, დაკარგავ „მეობას“ და ამერიკული ცხოვრების წესს ეთაყვანები, გააღვივებ ძირგამომთხრელ მუშაობას აშშ-ის მეტოქის წინააღმდეგ.

ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რომ ეჭვი აქვს საქართველოში ტერორისტული ბაზების არსებობაზე. მის მიერ გაკეთებული მინიშნებები დასტურია იმისა, რომ მსგავსი მართლაც ხდებოდა და რომ ამ საქმეში წინა ხელისუფლება იყო გარეული.

ნაცები გაჰყვირიან – ივანიშვილი საქართველოს სახელს ჩირქს ცხებსო. მაგრამ ჩირქის მოცხება მაშინ დაიწყო, როდესაც შევარდნაძის დროს ჩაეყარა საფუძველი ამ ბინძურ საქმეს. სააკაშვილმა ახალი სული შთაბერა „მამა-მარჩენალის“ დაწყებულ საშინელებას და ისეთ ზენიტში აიყვანა, ნორმალური საზოგადოება რომ არ ინატრებდა, თუმც ნორმალურობა და საზოგადოება ხშირად შორს არის ერთმანეთისგან. მაგალითად, „კავკასიის ფონდის“ საქმიანობაც გამოდგება.

ეს ფონდი შსს-სა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ბრძანების თანახმად დარეგისტრირდა 2008 წლის ნოემბერს. მიზანი: ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით ოპერატიული მუშაობის გაადვილება; ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებთან კონტრდაზვერვის დეპარტამენტისთვის საინტერესო პირთა წრის გამოვლენა, აღნიშნული რეგიონიდან საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საქმეების გამოვლენა; ჩრდილო კავკასიელთა „დავერბოვკება“ და ქართულ მხარესთან სათანამშრომლოდ მოზიდვა; ჩრდილო კავკასიიდან პერსპექტიული სტუდენტების მოზიდვა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ. 2008 წლიდან 2012 წლამდე ორგანიზაციას ოთხი მილიონ 58 ათასი ლარი გამოეყო.

„კავკასიის ფონდსა“ და აშშ-ის „ჯეიმსთაუნის“ ფონდს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა. მათ ერთობლივად ჩაატარეს რუსეთის საწინააღმდეგო კონფერენციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები. შედეგმაც არ დააყოვნა – საქართველოს პარლამენტმა აღიარა ჩერქეზთა გენოციდი. გახსოვთ ალბათ, ფონდის პრეზიდენტის გივი ღამბაშიძის ღრმად პატრიოტული გამოსვლები საქართველოს ტელესივრცეში და მტკიცება იმისა, თუ როგორი გენოციდი მოუწყო რუსეთმა ჩერქეზებს. ორატორი „დასაბუთებულად“ გვიმტკიცებდა რუსული დამპყრობლური პოლიტიკის თაობაზე. რას არ იზამს ფული?!

შსს დოკუმენტებში ეს ფონდი ასეა მოხსენებული: კონტრდაზვერვის დეპარტამენტის კონსპირაციული ორგანიცაზია, არაკომერციული იურიდიული პირი „კავკასიის ფონდი“.

ფონდს მუშაობა ა.წ. იანვარში უნდა დაესრულებინა (დაფინანსების შეწყვეტის გამო), მაგრამ, ზოგიერთთა აქტიურობის შედეგად, გამოიძებნა გზა ივანიშვილისკენ, რომელმაც ფონდის დაფინანსების სურვილი გამოთქვა.

**საინტერესოა, იცოდა თუ არა ივანიშვილმა, როდის, რისთვის და ვის მიერ იყო შექმნილი ე.წ. ფონდი? მინდა მჯეროდეს, რომ არ იცოდა, წინააღმდეგ შეთხვევაში არ გაამახვილებდა ყურადღებას „ბოევიკთა“ მომზადების სავარაუდო ბანაკების არსებობის თაობაზე.**

პრემიერ-მინისტრის მიხედვით, მიმდინარეობს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, გარკვეული შედეგები სახეზეა – სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენა, სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება და სხვა.

ურთიერთობის დალაგებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნდობის აღდგენას. ამ საქმეს, უდავოდ, არ წაადგება „კავკასიის ფონდის“ მსგავსი საეჭვო, ორგანიზაციების არსებობა.

**საქართველო არც თავისი მასშტაბით და არც პოლიტიკური წონით არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის ჯაშუშური ორგანიზაციების ბუდე, არ უნდა ატარებდეს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ ჯაშუშურ მოქმედებას, არ უნდა ხარჯავდეს ამ საქმისთვის მილიონებს. ქვეყნის ინტერესი სხვას მოითხოვს – ღია, გამჭვირვალე პოლიტიკას, დივერსიულ-ტერორისტული სულისკვეთებიდან სრულ დისტანცირებას, წარმატებული ცხოვრების შენებას სხვის გაუღიზიანელად . „კავკასიის ფონდისა“ და სხვა მსგავსი ორგანიზაციების არსებობით რუსეთთან ურთიერთობა არ გამოსწორდება, გაუარესება კი შესაძლოა.**

ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა – 2008 წლის ომი საქართველოს არ დაუწყია, სააკაშვილმა დაუშვა შეცდომაო. ივანიშვილი მართალია, მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან საქართველომ, ომის დაწყების შემდეგ, არაფერი იღონა დამნაშავე ხელისუფლების გასასამართლებლად.



ტერორისტთა ბანაკების შესახებაც გამოთქვა ივანიშვილმა თავისი მოსაზრება, თან ისიც დაამატა – საქართველო არაფერ შუაშიაო. ივანიშვილი მართალია. საქართველომ მართლაცდა არაფერი იცოდა იმ შავბნელი საქმეების შესახებ, რასაც ნაცური ხელისუფლება სჩადიოდა მრავალი წლის განმავლობაში. და არა მარტო ის, არამედ სტრატეგიულ პარტნიორად მონათლული სახელმწიფოც.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დედაქალაქი



# მერიის ხელდასხმულმა „სითი პარკმა“ თანამშრომლები გამომუშავებაზე გადაიყვანა

**„სითი პარკსა“ და მერიას განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ. ჯერ იყო და მათი ქართულ ბაზარზე შემოყვანისათვის მოხდა უპრეცედენტო რამ. უგულავა და მისი მოადგილე ახვლედიანი თავად ეახლნენ ისრაელში ფირმის ხელმძღვანელობას და მათი თბილისში ჩამოსვლა ითხოვეს. სპეციალისტთა განმარტებით, ცივილიზებულ ქვეყნებში პირიქით ხდება, ფირმა, რომელსაც ქვეყანაში შესვლა სურს, თვითონ ჩადის იქ და ეცნობა პირობებს, გარემოს და არა ისე, რომ დედაქალაქის მერი თვითონ ჩადიოდეს თავის მოადგილესთან ერთად. უკვე ეს საქციელი ბადებს ეჭვს, უგულავასა და ებრაულ ფირმას შორის რაღაც გარიგების არსებობის თაობაზე.**

ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ პოლიტიკოსების, არასამთავრობოების არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არც მერია და არც კომპანია არ ასაჯაროებენ დადებულ ხელშეკრულებას. შეფისგან გულმოცემული პრესცენტრის უფროსი ბაჩო დოლიძე პირდაპირ აცხადებს, რომ მერია ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს. „სითი პარკის“ ანალოგიურ სამსახურში კი ამბობენ, მართალია კონტრაქტი საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ კომპანია კერძოა და შესაბამისად მენეჯმენტის გადასაწყვეტია როგორ მოიქცესო. მენეჯმენტი კი 5 წელია ამ საკითხს წყვეტს.

როგორც ქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ჯაბა სამუშია აცხადებს, მერი და სხვა მაღალჩინოსნები 5 წლის წინათ („სითი“ თბილისში 2007 წლის ბოლოს შემოვიდა) ერთ ხმაში გაჰკიოდნენ, რომ ამ კომპანიის შემოყვანა პარკირებისთვის ახალი ინფრასტრუქტურისა და მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობას ისახავდა მიზნად. ეს უკანასკნელი უნდა გაკეთებულიყო რუსთაველზე, ყოფილ „ზარია ვოსტოკასა“ და კავშირგაბმულობის შენობებს შორის. რაც, რასაკვირველია, არ შესრულდა. არც ახალი ევროპული დონის ავტოსადგომებით გავუნებივრებივართ ებრაელებს. უფრო მეტიც, ამტკიცებს სამუშია, უგულავამ ხონჩით მიართვა „სიტის“ თბილისში არსებული ავტოსადგომები, რითაც სრულიად უსასყიდლოდ სარგებლობენ ისინი და საკმაოდ სოლიდურ მოგებასაც იღებენ.

ფირმის პრესცენტრში კი განმარტავენ, რომ მათ არც ერთ კონტრაქტში არა აქვთ მითითებული, რომ ევალებოდათ მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობა-აშენება. თუმცა, ეს მხოლოდ სიტყვიერად გაკეთებული განცხადებაა. საერთო ხელშეკრულების გასაჯაროებას კომპანია კვლავ თავს არიდებს.

„სითის“ თბილისის პარკირების ბაზარზე შემოსვლას თავდაპირველად მართლაც დადებითი შედეგები მოჰყვა. აღიკვეთა მანქანების უაზრო გზის ჩამკეტი, ფეხით მოსიარულეთათვის ხელისშემშლელი ტროტუარებზე გაჩერებები. მაგრამ მალე კომპანიამ ბრჭყალები გამოაჩინა, მან სპეციალურად მოხაზა თითქმის მთელი ქალაქი, ეს ადგილები თავის საკუთრებად გამოაცხადა და მანქანის იქ დაყენების უფლებისათვის წლიური 25 ლარი დააწესა. დგომის უფლების ღირებულების ნახტომისებრ ზრდას მერიამ დუმილით უპასუხა. უფრო მეტიც, ებრაელებს მისცა უფლება სადგომებზე საათობრივი ნიხრი დაეწესებინათ. გაიზარდა სადღეღამისო სადგომების ფასი. ხოლო მანქანის არასწორად დაყენებისათვის (არა დახაზულ ადგილზე) ჯარიმამ 50 ლარს მიაღწია. მოკლედ რომ ვთქვათ, უგულავამ „სითი პარკს“ ის უფლება-მოვალეობები მიანიჭა, რაც საბჭოეთში გაი-ს ჰქონდა.

მაგრამ ებრაული კომპანია ამაზე გაჩერებას არ აპირებდა, დროებით ავტოსადგომებზე ტრანსპორტის გაჩერების უფლების ღირებულება გააორმაგა და 50 ლარი გახადა. მერია ამას „გაგებით“ მოეკიდა. აქ კი ცხადი გახდა, რომ გავრცელებული აზრი უგულავასა და მისი გუნდის ებრაულ კომპანიასთან კორუფციული გარიგების არსებობაზე, ჭორი კი არა, რეალობა იყო.

### ევაკუატორები „ხოზრასჩოტზე“

**11 აპრილს „სითი პარკის“ ევაკუაციის 20-მდე თანამშრომელი გაიფიცა. ისინი გამომუშავებიდან ფიქსირებულ ხელფასზე გადასვლას ითხოვენ. გაფიცულები ამბობენ, რომ მათ ხელმძღვანელობა არაკეთილსინდისიერ მუშაობას ავალდებულებს. ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი აკონკრეტებს თავის დაცვის ქვეშ მყოფთა პრობლემებსა და მოთხოვნებს. მისი განმარტებით, ხელმძღვანელობა ხელფასის გამო ევაკუატორზე მომუშავეთ იძულებულს ხდის გამოწერონ უკანონო ჯარიმები. თუ ტრანსპორტი მიტოვებული არ არის, საჯარიმო სანქციის გამომწერ პირს არა აქვს მათი ევაკუირების უფლება. ეს უკანონობა და დისკრიმინაციაა, არა მხოლოდ საკუთარი თანამშრომლების მიმართ, არამედ ზოგადად საზოგადოების მიმართაც.**

გაფიცულებს მოჰყავთ შემთხვევა, როდესაც მაღაზიასთან ახალგაზრდა ქალმა პარკირების დარღვევით გააჩერა მანქანა, რომელშიც ჩვილ ბავშვს ეძინა. მაღაზიაში შესული რამდენიმე წუთით შეყოვნდა. ამასობაში ხელფასს გამოდევნებულმა ევაკუატორმა დრო იხელთა და მანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიყანა. მაღაზიიდან გამოსულ დედას აღარ დახვდა მანქანა, რომელშიც მისი შვილი იყო. ქალს ინფარქტმა დაარტყა. თუმცა, ამისთვის პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

დღეისათვის დედაქალაქში დადის „სითი პარკის“ 50 მოსიარულე ე. წ. „პატრული“, რომელიც უშუალოდ ჯარიმების გამოწერაზე მუშაობს. მათ ხელმძღვანელობამ დღიური გეგმა დაუწესა – თითოეულს 8 ფაქტი. ამას ერთიც რომ დააკლდეს, თანამშრომელს იმ დღის ანაზღაურებას ხელფასის სახით არ აძლევენ. ფეხით მოსიარულე ინსპექტორებს თვეში 383 ათასი ლარი შეაქვთ ებრაული კომპანიის ბიუჯეტში. ამას დავუმატოთ ევაკუატორები. მათ გეგმიურად წელიწადში 2 მლნ ლარი უნდა მიიტანონ. ევაკუატორის ჯარიმა და მანქანის სადგომამდე მიტანა 50 ლარი ღირს, იქ მანქანის 24-საათიანი გაჩერება – 10 ლარი. ავტოსადგომზე მფლობელს შეგნებულად უქმნიან ტრანსპორტის გამოყვანაში პრობლემებს, რათა უფრო მეტი თანხა გამოსძალონ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ყვებიან გაფიცულები, რომ დედაქალაქში 400 ათასი ავტომანქანა მოძრაობს და თითოეული 50 ლარს იხდის, მარტო აქედან შემოსავალი 26 მლნ ლარია წელიწადში. ხელმძღვანელობით უკმაყოფილონი იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ უფროსობის დამოკიდებულება არაადამიანურია. მაგალითად მოჰყავთ თავიანთი თანამშრომლის ამბავი, რომელსაც წვიმიან ამინდში რაცია ხელიდან გაუვარდა და წყალში ჩავარდა. ტექნიკა დაზიანდა, ხელმძღვანელობამ ამისთვის რიგით თანამშრომელს 300-დოლარიანი კავშირგაბმულობის მოწყობილობა 1500 ლარად შეუფასა და ისედაც მიზერული ხელფასიდან ყოველთვიურად ნახევარს უკავებდნენ. გაფიცულთა ერთ-ერთი მოთხოვნაც „ხოზრასჩოტიდან“ ფიქსირებულ ხელფასზე გადასვლაა.

ავდოკატი კუბლაშვილი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფთა მოთხოვნაა, შეწყდეს კაბალური ხელშეკრულებები. აღდგეს ჩვეულებრივი, ადამიანის ნორმალური განვითარებისთვის შესაბამისი ხელფასები (მით უმეტეს, რომ კომპანიას ამხელა შემოსავლები აქვს), ექსპერტებმა პარკირების სისტემას გადახედონ. ასევე აღიკვეთოს ამავე ფირმის მიერ დამკვიდრებული მანკიერი ტრადიცია – მეპატრონის გარეშე ტრანსპორტის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსით ეს გატაცებაა, – განმარტავს მარიამ კუბლაშვილი.

### ხელი ხელს ბანს – „ოცნების“ ოფისების წინ გაჩერებული ყველა მანქანა დააჯარიმეთ!

**როგორც გაფიცულები ამბობენ, არჩევნების წინა პერიოდში მათ ხელმძღვანელობა ავალებდა, ივანიშვილის „ოცნების“ ოფისების წინ გაჩერებული ყველა მანქანა დაეჯარიმებინათ. მართალია, ასფალტი პარკირებისათვის დახაზული იყო, ჩამოკიდებული იყო შესაბამისი საგზაო ნიშანიც, მაგრამ „სითის“ „ვერხუშკამ“ ნიშნები თავის ინსპექტორებს მოახსნევინა და დგომა აიკრძალა. კომპანიისადმი პრეტენზიის მქონე თანამშრომლები დარწმუნებული არიან, რომ ეს მითითება მათმა ხელმძღვანელობამ მერიიდან, უშუალოდ უგულავასგან მიიღო.**

მაგრამ ცოტა ხნის წინათ მერიის ხელდაფარებულმა ფირმამ პირველი მტკივნეული დარტყმა მიიღო. 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანია DLG Case-ს ადმინისტრაციული სარჩელი და გააუქმა „სითი პარკის“ მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითარი, რითაც უკანონოდ ცნო სატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე გადაყვანა და ებრაულ კომპანიას სოლიდური ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

მიუხედავად უგულავას პოზიციების შესუსტებისა და შერყევისა, „სითი პარკი“ მაინც არ აპირებს გაფიცულებთან პოზიციების შერბილებას. მისი პრესცენტრის განმარტებით, გაფიცულები კარგა ხანია, კომპანიაში მუშაობენ. თავიდან ფიქსირებული ხელფასები ჰქონდათ, მერე მოითხოვეს გამომუშავებით ანაზღაურებაზე გადასვლა, გადავიყვანეთ (კი არ მოითხოვეს, აიძულეს! წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაშვებით დაემუქრნენ – **ზ. ბ.**). ეს იყო 1-1,5 წელიწადის წინათ – აკონკრეტებენ პრესსამსახურში და იქვე გვაწვდიან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გენერალურმა მენეჯერმა უკმაყოფილოებს მასთან მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. შემდეგ სთხოვა მუშაობის გაგრძელება და ამ პერიოდში მათი მოთხოვნების გადახედვა. პასუხად ისევ უარი მივიღეთო. პრესცენტრში მაინც იმედი აქვთ, რომ ყოველივე დროებითი გაუგებრობაა და გაფიცულები მალე დაუბრუნდებიან თავიანთ სამუშაო ადგილებს.

როგორც ადვოკატი კუბლაშვილი აცხადებს, გაფიცულთა საქმეებში ჩაერთვნენ სახალხო დამცველის აპარატი, უფლებადამცველი არასამთავრობოები და, რაც მთავარია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

ვნახოთ, ახლაც შეძლებს პოზიციებშერყეული უგულავა თავისი მსახვრალი ხელის გადაფარებას მასთან კორუფციულ გარიგებაში მყოფი ებრაული ფირმისათვის?

**ზაზა ბილიხოძე**

## მამულს გაუფრთხილდი, ქიტეს!

# ინდოელებმა ქართველ გლეხებს უთხრეს, მართლები ხართ, მიწა არ უნდა გაგეყიდათო

**„გამკაცრდეს იმიგრაცია და შეწყდეს ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა“**, – ამ შინაარსის მოთხოვნები სულ უფრო მატულობს ინტერნეტსივრცეში. პარალელურად პოლიტიკოსების ნაწილი უცხოელებზე მიწების გასხვისების აკრძალვას მოითხოვს.

**„დღეს ერთ ეგვიპტელს ვკითხე, საქართველოში რას აკეთებ-მეთქი? – მიპასუხა, – ვცხოვრობო. ყველანი საცხოვრებლად ჩამოდიხართ-მეთქი? ჯერ სადა ხარ, კიდევ უფრო მეტნი მოდიანო“, – წერს ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი.**

**სულ ახლახან მიწების გასხვისების გამო აღელვებული ქართველების დანახვისას ინდოელებმა პირდაპირ ეთერში განაცხადეს, დაგვიბრუნონ ჩვენი ფული და საქართველოდან წავალთო.**

**თუმცა, 2011 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისებულმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებმა ჯამში 6815,2004 ჰექტარი შეადგინა. 2012 წელს სამინისტროს და სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით 6647,2801 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გასხვისდა და მყიდველებს შორის ინდუსები, არაბები და ირანელები არიან.**

**მართალია, საქართველოს კანონმდებლობა მიწის უცხოელებზე გასხვისებას არ კრძალავს, მაგრამ ექსპერტები აცხადებენ, რომ ჰექტარობით მიწები საქართველოს ყოფილმა ჩინოვნიკებმა გაასხვისეს და საკუთარ დანაშაულს ტყუილად აბრალებენ ქართველ გლეხებს, რომლებმაც თურმე გაჭირვების გამო თავიანთი მიწები დაუთმეს უცხოელებს. სინამდვილეში, გლეხების მიერ გასხვისებული მიწები სოლიდურად ჩამოუვარდება მაღალჩინოსნების ნამოქმედარს.**

> **ნუ დაგვავიწყდება ძველი ანდაზა, ზღვა კოვზით დაილიაო...**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ინვესტორებს შესასყიდი მიწის შესახებ სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ. კერძოდ, მისი თქმით, შვეიცარიიდან ჩამოვიდნენ ინვესტორები, რომელთაც კონკრეტულ სოფელში უნდოდათ 5 ჰექტარი მიწის ყიდვა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამ სოფელს მხოლოდ ხუთი ჰექტარი ჰქონდა საძოვრად და ეს საძოვარი რომ გაყიდულიყო, პრობლემას შექმნიდა.

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ საქართველოში მიწის მესაკუთრე უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ხოლო ტყეების და საძოვრების – მხოლოდ თვითმმართველობა. ასეთ შემთხვევაში, ვერც ინდოელი, პაკისტანელი და პენჯაბელი ფერმერები ვერ დაეუფლებიან ქართულ მიწებს.**

**უნდა გამოცხადდეს თუ არა მორატორიუმი ქართულ მიწებზე? ამის შესახებ For.ge პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს ესაუბრა.**

**მიწების გასხვისებაზე მორატორიუმის გამოცხადებას მოითხოვს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე. მისი თქმით, ეს მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ჩვენი კანონმდებლობა ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში არ მოვა. იგი აცხადებს, რომ მისი პოზიცია საერთაშორისო პრაქტიკაზეა დაფუძნებული და უცხოურმა სპეკულანტურმა კაპიტალმა არ უნდა შეისყიდოს ქართველი ხალხის ძირითადი აქტივი – მიწა და შემდეგ ეს თავიანთი ინტერესისთვის გამოიყენონ სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმა თუ სახელმწიფოებმა.**

**რაც შეეხება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, სოსო მანჯავიძის აზრით, ჩვენ შეგვიძლია, მორატორიუმი გვქონდეს მანამ, სანამ ევროკავშირში რეალური შესვლის შესაძლებლობა არ გვექნება. ეს კი, სოსო მანჯავიძის რწმენით, უახლოეს პერიოდში არ მოხდება.**

იხ. 11 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com


აკადემიკოსი
გიორგი ჯიბლაძე
სსრ კავშირის სახალხო
მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნახატი

# მუდამ ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურში

## აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე – 100

**ასი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის დაბადებიდან. იგი საზოგადოების ხსოვნაში დარჩა როგორც ფართო მასშტაბის მეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე. ყველა ამ მიმართულებით მისი საქმიანობა იყო შემოქმედებითი, ძალიან პროდუქტიული და მრავალმხრივი.**

ხუთასზე მეტი მეცნიერული გამოკვლევის, სამოცამდე მონოგრაფიის, ასეულობით საჟურნალო და საგაზეთო სტატიის ავტორი, იგი დამაჯერებლად წარმოაჩენდა თანამედროვეობისა თუ წარსულის არაერთ მნიშვნელოვანსა და აქტუალურ პრობლემატიკას. ლიტერატურის, ესთეტიკის, პედაგოგიკისა და ფილოსოფიის საკითხებს იგი განიხილავდა ევროპული მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით; ჰუმანიტარულ აზროვნებას იკვლევდა სხვადასხვა მიმართულებით. ამ კვლევათა შედეგია მისი შესანიშნავი მონოგრაფიები: „რუსოიზმის არსი“, „ფროიდის ფსიქოანალიტიკური ესთეტიკა“, „ავიცენას სისტემები“, „იან ამოს კომენსკის ფილოსოფია“ და სხვ., რომელთაც მაღალი საკავშირო და საერთაშორისო შეფასება დაიმსახურეს.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე არაერთხელ გამოსულა მრავალ ევროპულ ქალაქში (ჟენევა, პარიზი, ვენა, პრაღა, ბერლინი, დრეზდენი, ბუქარესტი...) ლექციებითა და მოხსენებებით. იასისა და ბუქარესტის უნივერსიტეტებში წაკითხულმა ლექციების სერიამ, რომლის საერთო სათაური იყო „საქართველო ევროპული ცივილიზაციის ასპექტებით“, დიდი აღიარება პოვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლექციათა ამ ციკლმა უცხოელ კოლეგებს ცხოველი ინტერესი აღუძრა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სამეცნიერო კვლევა-ძიების თემატურ მრავალფეროვნებაში ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა. მან არა ერთი და ორი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ანალიზსა და შეფასებას.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის რუსთველოლოგიური ძიებები, რომლებიც მან ახალგაზრდობაში დაიწყო და შემდგომ გააღრმავა, დაგვირგვინდა მონოგრაფიით – „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ გაანალიზებულია საკუთრივ ესთეტიკის, პოეტიკისა და ეთიკის ასპექტში. ამ ნაშრომში ბევრი რამ არის გარკვეული რუსთაველის ფილოსოფიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ავტორის დასაბუთებული მტკიცებით, ზნეობრივ ღირებულებებს რუსთაველთან ესთეტიკურ ფენომენთა ღირებულება აქვს, დიდი პოეტის ესთეტიკური იდეალები კი მისი გენიალური თხზულების პოეტიკაში პოულობს სრულყოფილ ხორცშესხმას.

ფასდაუდებელი ეროვნულ-კულტურული და მეცნიერული ღირებულება აქვს ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელ, ორტომიან გამოკვლევას „ილია ჭავჭავაძე“ (1986 წელს მიიღო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია), რომელშიც კომპლექსურად არის შესწავლილი ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობისა და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ყველა მხარე, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ამ მონოგრაფიის ღირსება. ავტორმა ბევრი საინტერესო სიახლე შეიტანა არა მარტო ილიას მხატვრული ტექსტების განხილვაში, არამედ პუბლიცისტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, ესთეტიკისა და ილიას თვით ბიოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებითაც.

**სულის შემძვრელია მისი უკანასკნელი ნაშრომი – „ღია წერილი ჩემს მეგობრებს“, რომელიც მან XIX პარტკონფერენციისადმი აფხაზთა ცნობილი მიმართვის საპასუხოდ დაწერა.**
**როგორც მისი უფროსი ქალიშვილი მანანა ჯიბლაძე წერს: „იგი დაიწერა 1989 წლის 11 აპრილს, სწორედ იმ დღეს, როცა მისი უკვე შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაშიც 9 აპრილის ტრაგედიამ, ეჭვს გარეშეა, დიდი როლი ითამაშა. მამა ამ თავის აღსარებასა და ანდერძს ლოგინად ჩავარდნილი წერდა. მან ვერ მოასწრო ამ ღია წერილის გამოქვეყნება, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში დავაწვინეთ და მალე ის ჩვენგან წავიდა...“**

სიყვარულითა და შთაგონებითაა შექმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აკად. გ.ჯიბლაძემ XX საუკუნის ქართულ მწერლობას. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის პოეზიისადმი, მის აღფრთოვანებას იწვევდა კონსტანტინე გამსახურდიას პროზა. მკვლევარი ამ სახელოვან სამეულს განიხილავდა როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უშორესი წიაღიდან ამოზრდილ თავისთავადსა და დიდებულ მოვლენას.

განუზომელი ამაგი დასდო აკად. გ.ჯიბლაძემ თანამედროვე ქართული პედაგოგიკისა და ესთეტიკური აღზრდის ძირითად მიმართულებებს, რომელთაგან უმეტესის ჩამოყალიბება-განვითარება მის სახელთანაა დაკავშირებული. მისი წიგნები: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“ (1969 წ. დაჯილდოვდა ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიით), „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, ზემონახსენები „კომენსკის ფილოსოფია“ (1973 წ. მიიღო ჩეხოსლოვაკიის იან ამოს კომენსკის სახელობის ოქროს მედალი; 1982 წ. – კ.დ. უშინსკის სახელობის სახელმწიფო პრემია), „პედაგოგიკა და მეთოდიკა“, ფრანგულ ენაზე პარიზში დაბეჭდილი, დღეისათვის ძალიან აქტუალური „ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლის მეთოდები და საშუალებები“ – ის ნაშრომებია, რომლებმაც გარკვეული სისრულით წარმოადგინეს ავტორის, როგორც პედაგოგიკის თეორეტიკოსისა და უმაღლესი სკოლის პრაქტიკოსი პედაგოგის ფართო ერუდიცია და მაღალი კომპეტენცია. ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლანგი „ესთეტიკური აღზრდის პრინციპის“ შესახებ აღნიშნავდა: „ამ წიგნის მნიშვნელობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამას მისი მოკრძალებული სათაური გულისხმობსო“. დასახელებული მონოგრაფია მართლაც რომ ახალი ეტაპი იყო ესთეტიკური აღზრდის თეორიის განვითარებაში.

აკად. გიორგი ჯიბლაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომლითაც დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა, როცა სტუდენტობისას 19-20 წლის ჭაბუკმა რამდენიმე საგაზეთო წერილი გამოაქვეყნა და სხვადასხვა გაზეთის რედაქციებში მუშაობას შეუდგა. მისი უკანასკნელი პუბლიკაცია 1987 წლით თარიღდება. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე (57 წელი) იგი მოვალედ გრძნობდა თავს, სისტემატურად ეთანამშრომლა ცენტრალურ თუ პერიფერიულ ჟურნალ-გაზეთებთან და ხელი შეეწყო ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისათვის. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ჟურნალისტიკის კათედრა, შემდეგ ესთეტიკის კათედრაც. ამ კათედრებზე, რომელთა გამგეც იყო სხვადასხვა დროს, აღიზარდა თაობები, რომლებმაც შემდგომში ესთეტიკური და ჟურნალისტური აზროვნების ბირთვი შეადგინა.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე იყო რამდენიმე აკადემიის წევრი, მათ შორის საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად 1955 წელს აირჩიეს, ხოლო ნამდვილ წევრად 1959 წელს. იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ენისა და ლიტერატურის განყოფილების ბიუროს წევრი, რამდენიმე სამეცნიერო კომისიისა და საბჭოს თავმჯდომარე. იგი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორი, გამორჩეული იყო.

ბატონი გიორგი ჯიბლაძის ცხოვრების მეორე მხარეს წარმოადგენდა მისი საზოგადოებრივი და, სამართლიანი იქნება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რაც მისი ბიოგრაფიის ერთი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. გიორგი ჯიბლაძემ გაიარა თითქმის ყველა საფეხური, როგორც ჟურნალისტის, პედაგოგის, მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის, ისე სახელმწიფო მოღვაწის გზაზე. ამ გზას ჩვეულებრივი, ორდინარული ადამიანის ერთი და ორი ცხოვრება არ ეყოფოდა. მარტო მაღალი პარტიული და სახელმწიფოებრივი თანამდებობების უბრალო ჩამოთვლაც კი დაგვარწმუნებს ამაში: 1946-1951 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ; 1951-1953 წწ. – საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად; 1953 წლის აპრილიდან სექტემბრამდე – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ; 1953-1960 წწ. – საქართველოს სსრ განათლების მინისტრად; 1960-1961 წწ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად; 1963-1980 წწ. – საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად, 1986 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცხრაგზის მოწვევის დეპუტატი, ეს ჩამონათვალი მაინც არ იქნება ზუსტი.

ყველგან, სადაც კი თანამდებობაზე უმუშავია, გიორგი ჯიბლაძის ხედვა და მიდგომები იყო სახელმწიფოებრივი, იყო სამშობლო ქვეყნისა და ხალხის, მისი კულტურისა და ლიტერატურის საკეთილდღეო. იგი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით სისხლხორცეულად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის ბედსა და უბედობაში. საკუთარი შვილიშვილის ტრაგედიაზე ნაკლებ არ განუცდია მას ახალგაზრდების დაღუპვა 9 აპრილს. თავზარდამცემი იყო მისთვის აფხაზეთში დატრიალებული ამბები. სულის შემძვრელია მისი უკანასკნელი ნაშრომი – „ღია წერილი ჩემს მეგობრებს“, რომელიც მან XIX პარტკონფერენციისადმი აფხაზთა ცნობილი მიმართვის საპასუხოდ დაწერა.

როგორც მისი უფროსი ქალიშვილი მანანა ჯიბლაძე წერს: „იგი დაიწერა 1989 წლის 11 აპრილს, სწორედ იმ დღეს, როცა მისი უკვე შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რაშიც 9 აპრილის ტრაგედიამ, ეჭვს გარეშეა, დიდი როლი ითამაშა. მამა ამ თავის აღსარებასა და ანდერძს ლოგინად ჩავარდნილი წერდა. მან ვერ მოასწრო ამ ღია წერილის გამოქვეყნება, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში დავაწვინეთ და მალე ის ჩვენგან წავიდა...“

„ღია წერილი“ ხუთი წლის შემდეგ მანანამ გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკაში“. იგი აქტუალური იყო მაშინ, როცა დაიწერა, მერეც, როცა გამოქვეყნდა და დღესაც აქტუალურია. ეს მიმართვა დაწერილია სახელმწიფო მოღვაწის, ქვეყნის პატრიოტისა და ჰუმანისტის, აფხაზი ხალხის ძველი მეგობრისა და ნამდვილი მოკეთის მიერ. „თქვენ კარგად იცით, – მიმართავდა იგი აფხაზ მეგობრებს, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრებით ვემსახურებოდი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას. ამას დღეს კი არ ვნანობ, პირიქით, საამაყოდ მიმაჩნია, ვინაიდან ქართულ კლასიკაზე აღზრდილ კაცს ყოველთვის ფანატიკურად მწამდა, რომ ჰუმანისტი-დემოკრატი ის არის, ვინც ერთა შორის მტრობას ებრძვის, ხალხთა სიყვარულს განადიდებს და ემსახურება, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე“.

აკად. გიორგი ჯიბლაძე იყო გამორჩეულად ზნემაღალი პიროვნება: პატიოსანი, გულმართალი, დიდსულოვანი, კეთილი და კეთილმოსურნე, ხელგაშლილი – ყველა საუკეთესო ქართული თვისებით შემკული, მათ შორის არტისტიზმითაც, რის წყალობით, ორატორული ხელოვნების სიმაღლეებს სწვდებოდა, მაგრამ მის ყველაზე ღირსეულ თვისებად ადამიანებს მიაჩნდათ ის, რომ აკად. გიორგი ჯიბლაძე იყო მოვალეობის კაცი. საკუთარ მოვალეობად კი ის ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურს ისახავდა, რაც პირნათლად და სამაგალითოდ აღასრულა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## ინფორმაცია

### ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა

**ისრაელში შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი გრძელდება. ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, დღესვე გაიმართა შეხვედრა ისრაელის კონტრტერორისტული ბიუროს ხელმძღვანელ ეითან ბენ-დევიდთან, სადაც საუბარი ორი ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებს შეეხო.**

**შსს-ს ცნობით, ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა და დელეგაციის წევრებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მაცხოვრის საფლავი მოინახულეს. მინისტრმა იად ვაშემის მუზეუმი დაათვალიერა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.**

**ვიზიტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია საქართველოს შს მინისტრის შეხვედრები ისრაელის სახმელეთო დაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრ გილად ერდანთან, უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩთან და ისრაელის მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.**

**ამასთან, შსს-ს ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება მემორანდუმს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთდახმარების მექანიზმების გაუმჯობესებას.**

### ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა ცხედრების ექსჰუმაცია

**პანკისის ხეობის სოფელ დუისში ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული სამი ჩეჩნის ცხედრის ექსჰუმაცია მოხდა. გამომძიებლებმა დუისის სასაფლაოდან ექსპერტიზისთვის დაღუპულების – ასლან მარგოშვილის, სალამ ზაურბეკოვის და ბაჰაუდინ ბაღაკაშვილის ცხედრები ამოიღეს. სპეცოპერაციის დროს დაღუპული სხვა პირების საფლავს საგამოძიებო ჯგუფი მომდევნო დღეებში გახსნის.**

**დუისის სასაფლაოზე გვამების ექსჰუმაციის დროს სოფლის მოსახლეობა იყო შეკრებილი.**

**როგორც ადგილზე მყოფმა ასლან მარგოშვილის მამიდამ განაცხადა, ცხედრებს მაშინდელი ხელისუფლების პირობებში ექსპერტიზა არ ჩატარებიათ და დღეს საგამოძიებო მოქმედებები სწორედ გარდაცვლილების ოჯახის წევრების მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო.**

**მისი თქმით, ოჯახის წევრებმა სახალხო დამცველსაც მიმართეს, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა დაიწყოს.**

**ამასთან, დუისის სასაფლაოზე დაღუპულ სალამ ზაურბეკოვის დედა შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს შვიდი ჩეჩენი დაიღუპა, რომელთაგან სამი პანკისის ხეობაში ცხოვრობდა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ძებნა არ გამოვიდა

### გივი თარგამაძემ ინტერპოლის დევნას თავი დააღწია

**საქართველოს პოლიტიკოსმა გივი თარგამაძემ, რომელსაც რუსეთში მასობრივი უწესრიგობის ორგანიზაციაში სდებენ ბრალს, განაცხადა, რომ ამოღებულია ინტერპოლის ბაზიდან და ბრუნდება სამშობლოში. თებერვლიდან პოლიტიკოსი ლიტვაში ცხოვრობდა, მას დაპატიმრებისა ეშინოდა. ვილნიუსმაც უარი უთხრა მოსკოვს მის გადაცემაზე. სხვათა შორის, სამშობლოშიც თარგამაძის მისამართით ექნებათ შეკითხვები პოლიციის აგენტებს.**

ლიტვაში მცხოვრებმა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გივი თარგამაძემ, რომელზეც რუსეთის პოლიციამ ძებნა გამოაცხადა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მასობრივი უწესრიგობების ორგანიზაციის საქმეზე, გადაწყვიტა დაბრუნდეს სამშობლოში. ასეთი გადაწყვეტილება მან მიიღო მას შემდეგ, რაც ინტერპოლმა, მისი სიტყვებით, ბაზის მონაცემებიდან ამოიღო რუსეთის მოთხოვნა მისი დაკავების შესახებ.

ამის შესახებ თარგამაძემ განაცხადა სამშაბათს პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ლიტვის პარლამენტის შენობაში. თარგამაძე ჩავიდა ვილნიუსში საპარლამენტო ფრაქცია — პარტია სამშობლოს კავშირის — ლიტვის ქრისტიანი დემოკრატების — წევრის მანტას ადომენასის მიწვევით.

ქართველმა პოლიტიკოსმა განმარტა, რომ აპრილში ინტერპოლის გენერალური დირექტორისგან რონალდ ნოუბლისგან მიიღო წერილი იმის შესახებ, რომ რუსეთის მიმართვა ეწინააღმდეგებოდა ინტერპოლის წესებს, ამიტომ ინფორმაცია თარგამაძის შესახებ ამოღებული იქნება მონაცემთა ბაზიდან. ამას გარდა, ლიტვის გენერალურმა პროკურატურამ უარყო მოსკოვის თხოვნა მისი ექსტრადაციის შესახებ. როგორც პროკურორმა რასა ტუნკიავიჩენემ განმარტა, თარგამაძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებულებანი „არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ლიტვის კანონების შესაბამისად“.

პროკურორების პოზიციას დაეთანხმა ვილნიუსის საოლქო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაშიც ხაზგასმულია, რომ რუსეთში თარგამაძე შეიძლება ექვემდებარებოდეს დევნას პოლიტიკური მოტივებით. იმაში, რომ საქმეში არის პოლიტიკური მოტივები, პოლიტიკოსის სიტყვებით, ასევე დარწმუნდნენ ინტერპოლშიც.

**„დავბრუნდები საქართველოში. და იმ სამი თვის განმავლობაში, რომლებიც საქართველოსთვის მეტად დაძაბული იყო, მე ვიმყოფებოდი ლიტვაში“,** — თქვა თარგამაძემ და თავის შემთხვევას პრეცედენტი უწოდა.

თავის მხრივ, ადომენასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჯერად მოსკოვმა ვერ შეძლო, დაენგრია „უხეშად“ ნდობა საქართველოსა და ლიტვას შორის.

**„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლიტვა გახდება ნამდვილად უსაფრთხო სივრცე დემოკრატიისთვის, სადაც მისი წარმომადგენლები ვერ იგრძნობენ დაშინებას სხვა სახელმწიფოთა საიდუმლო სამსახურების მხრიდან“,** — თქვა ადომენასმა.

თარგამაძემ ასევე ისაუბრა, რომ ჩავიდა ლიტვაში 11 თებერვალს და უკვე აქ გაიგო, რომ მასზე ძებნაა გამოცხადებული ინტერპოლის მეშვეობით. პოლიტიკოსი დაუკავშირდა ლიტვის პროკურატურას და აცნობა, რომ მზად არის თანამშრომლობისთვის. **„მე არ ვიცნობ რუს ოპოზიციონერებს. არ მომცემია შემთხვევა შევხვედროდი მათ, გამეცნო ისინი, თუმცა სიხარულით გავიცნობდი კიდევაც“,** — თქვა პოლიტიკოსმა პრესკონფერენციაზე.

მარტში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ თარგამაძეს არ შეუძლია დაბრუნდეს ლიტვიდან „ინტერპოლთან დაკავშირებული პრობლემების გამო“.

ფარული კამერის ჩანაწერს (აჩვენეს ტელეარხ „ენტევეს“ ეთერში), რომელზეც ქართველი პარლამენტარი რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰპირდება ფულს უწესრიგობათა ორგანიზაციისთვის რუსეთში, თარგამაძემ ყალბი უწოდა. სხვათა შორის, გასულ კვირას ჩანაწერზე დაფიქსირებულმა ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა კონსტანტინ ლებედევმა ნამდვილად აღიარა არა მხოლოდ შეფასება, არამედ ისაუბრა კიდეც თარგამაძესთან თავისი არაერთგზისი შეხვედრების შესახებ.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც თარგამაძეს თავის მეგობარს უწოდებს, ასევე ამტკიცებს, რომ ბრალდებები იყო უსაფუძვლო და წამოყენებული „ოპოზიციის გაშავების“ მიზნით. „თარგამაძემ უმალვე აღნიშნა, რომ ყველა ბრალდება მის წინააღმდეგ არის სიცრუე და ის იბრძოლებს სამართლის მიღწევისთვის“,** — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, მოსკოვის ბასმანის სასამართლომ თებერვალში დაუსწრებლად დააპატიმრა თარგამაძე. რუსეთის გამომძიებლებმა ბრალი დასდეს მას უწესრიგობათა ორგანიზაციაში და ოფიციალურად გამოაცხადეს ძებნა მასზე. პოლიტიკოსის ძებნისთვის მასალები გადასცეს პოლიციას, შემდეგ კი ინტერპოლს. საგამოძიებო ორგანოებში დარწმუნებული არიან, რომ თარგამაძე არა მხოლოდ აფინანსებდა რუსეთის ოპოზიციას, არამედ ხელმძღვანელობდა კიდეც მის ლიდერებს ბალოტნაიას მოედანზე უწესრიგობის დროს შარშან 6 მაისს.

სხვათა შორის, ჯერჯერობით არ არის გამორიცხული, რომ დეპუტატს ელის დევნა სამშობლოშიც. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თებერვალში განაცხადა, რომ განიხილავს მოსკოვის მოთხოვნას და გივი თარგამაძესთან დაკავშირით საჭიროების შემთხვევაში მოაწყობს საკუთარ გამოძიებას.

აპრილის ბოლოს პროკურორმა მიხეილ რეზნიჩენკომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოში საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების დროს ლებედევთან დაკავშირებით ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამდენი თანხა შემოვიდა თარგამაძისგან საქმის ფიგურანტებისთვის ბალოტნაიას მოედანზე უწესრიგობათა ორგანიზაციასთან დაკავშირებით. სააგიტაციო მასალებზე გამოიყო 150 ათასი რუბლი, აქციის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდაზე სხვა რეგიონებიდან — 80 ათასი რუბლი. ამას გარდა, რუსი ოპოზიციონერები პირადი დაფინანსების სახით ღებულობდნენ 50 ათას რუბლს ყოველთვიურად „კონსპირაციული ბინების“ დაქირავებისთვის, ექსტრემალური ბაზების შექმნისთვის. სახელმწიფო ბრალმდებელმა დაუმატა, რომ უწესრიგობათა შემდეგ ფიგურანტებისთვის შემოვიდა 603 ათასი რუბლი ახალ უწესრიგობათა მოსაწყობად.

**„თარგამაძისგან მიღებული ფულადი სახსრებით რაზვოზჟაევმა 2012 წლის შემოდგომაზე შეიძინა ავტომობილი „აუდი ა-6“, უდალცოვმა არაუგვიანეს 23 ივნისისა, შეიძინა ავტომობილი „ოპელ ვექტრა“, რომლის ღირებულებაც 300 ათასი რუბლია და იგი თავისი მეუღლის სახელზე გააფორმა“,** — თქვა რეზნიჩენკომ.

პროკურორის სიტყვებით, საქმის ფიგურანტები აპირებდნენ უწესრიგობათა მოწყობას მთელს ქვეყანაში შემოდგომაზე. ამ მიზნით მოაწყვეს სპეციალური ბანაკები რუმინეთსა და ლიტვაში, სადაც „ასწავლიდნენ მოქალაქეებს, გაერღვიათ რკალი, მოეწყოთ უვადო აქციები და ემართათ დიდი ოდენობის მომიტინგეები“. პროკურორის სიტყვებით, სახელმწიფოს ზარალმა 6 მაისის მოვლენებისგან 28 მილიონ რუბლზე მეტი შეადგინა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА



## დედამიწის ზურგზე




### 10 წელი მანიაკის ტყეობაში: 3 გაქცეულ ქალს აუპატიურებდნენ, სცემდნენ და დაბმული ჰყავდათ პოლიციის ცხვირწინ

სამი ქალის გატაცებაში ეჭვმიტანილი და დაპატიმრებული 52 წლის არიელ კასტრო და მისი ორი ძმა დაკითხეს უკვე ოთხშაბათ საღამოს. პოლიცია არაერთგზის ესაუბრა არიელ კასტროს და მის სახლშიც კი მივიდა, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა. ტყვე ქალები სულ ცოტა ხუთჯერ მაინც დაორსულდნენ, რამდენიმეს მუცლის მოშლილობაც ჰქონდა.

### ბანგლადეშში შენობის ნანგრევებში 760-ზე მეტი ცხედარი აღმოაჩინეს. ეს არ არის ბოლო, აღიარებენ მაშველები

ელოდებიან, რომ მსხვერპლთა რიცხვი უახლოეს დღეებში გაიზრდება: ჯერჯერობით დაშალეს ნანგრევების მხოლოდ 70 პროცენტი. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიის მიზეზი გახდა ძლიერი ვიბრაციები ოთხი გენერატორისა, რომლებიც დამონტაჟებული იყო კომპლექსში წესების დარღვევით. ბზარები 8-სართულიანი კომპლექსის კედლებში შენიშნეს ჯერ კიდევ ჩამონგრევის წინა დღეს.



### გენუაში ხომალდი სადისპეტჩერო კოშკურას შეეჯახა: 3 კაცი დაიღუპა

სულ კოშკურაში საგანგებო შემთხვევის დროს ათი კაცი იყო. ექვსი დაზიანდა. დარტყმისგან კოშუკრა ნაწილობრივ ჩამოიშალა, გადაიხარა 45 გრადუსით. იგი საფრთხეს წარმოადგენს ნავსადგურში არსებული ხომალდებისთვის.

### პენტაგონი სამოქალაქო პერსონალს 5 პროცენტით შეამცირებს

ეს შემცირებები პროპორციულია იმასთან, რაც შეიარაღებულ ძალებში ხორციელდება, შენიშნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ეშტონ კარტერმა. ასეთი იძულებითი გათავისუფლებანი მოხდება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

### კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ „შეამსუბუქა“ საბრძოლო მზადყოფნის გაზრდილი რეჟიმი, აიღო ამერიკაზე დამუქრებული რაკეტები

ორი, როგორც მინიმუმი, საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა, რომლებიც გამიზნული იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზებზე, გადაიტანეს სათადარიგო გამშვებ მოედანზე. ექსპერტებმა ეს შეაფასეს, როგორც ჩრდილოეთის სურვილის უქონლობა მიიყვანონ ამჟამინდელი ესკალაცია ომამდე.

### გვიანაში კოსმოდრომიდან გაუშვეს რაკეტა პირველი ესტონური თანამგზავრით

იგი იწონის სულ რაღაც 1,3 კილოგრამს და ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს. მასთან ერთად ევროპული მსუბუქი კლასის რაკეტმზიდი პოლარულ ორბიტაზე გაიყვანს ევროპულ და ვიეტნამულ აპარატებსაც.




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სამარადისო დიდება ყველას - ფრონტისა და ზურგის გმირებს!

## საქართველო დიდ სამამულო ომში: ციფრები და ფაქტები

**1945 წლის 9 მაისი! დიდი სამამულო ომის აპოთეოზი: გამარჯვების დღე. 1418 დღე მიმდინარეობდა ყველაზე სისხლიანი, ყველაზე დამანგრეველი ომი კაცობრიობის ისტორიაში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანი ელოდა ამ დღეს. და, როგორც იქნა, დადგა დღე, როდესაც მოსკოვში გამოიცა უმაღლესი მთავარსარდლის უკანასკნელი ბრძანება. იმ დროისთვის საბჭოთა არმიაში 10,5 მილიონზე მეტი მეომარი იყო: არც მანამდე, არც მის შემდეგ არავის ჰყოლია ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარები!**

... ჩვენს ეზოში, მაშინდელი ძერჟინსკის ქ.№6-ში, იყო მხოლოდ ერთი „შავი თეფში“ – ასე ეძახდნენ მაშინ ხმამაღლა მოლაპარაკეს (რადიოს), რომელთანაც შეიკრიბა მთელი ჩვენი ინტერნაციონალური ეზო, დიდიც და პატარაც. სრულიად საკავშირო დიქტორმა, სახელგანთქმულმა იური ლევიტანმა წაიკითხა უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ.სტალინის უკანასკნელი ბრძანება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარებისადმი, რომელიც საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად მოვიყვანოთ აქ:

**„1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. დიდი სამამულო ომი, რომელსაც ეწეოდა საბჭოთა ხალხი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, გამარჯვებით დასრულდა. გერმანია მთლიანად განადგურებულია.**

**ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, გილოცავთ დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულებას.**

**გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად, დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება, მიესალმება სალუტით – 30 საარტილერიო ზალპით ათასი ქვემეხიდან.**

**სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის!**

**გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!“**

მაშინ ექვსი წლისა ვიყავი, მაგრამ დღემდე არ მინახავს უფრო ბედნიერი დღე, იმდენი ღიმილი და ბედნიერების ცრემლები, რაც 1945 წლის 9 მაისს ვიხილე. ჩვენი სახლი ქალაქის ლ.პ.ბერიას სახელობის ცენტრალური მოედნიდან სულ რაღაც ას მეტრში იყო. ჩვენ, ბავშვები, უმალვე გავიქეცით იქ. მახსოვს საყოველთაო ზეიმი, ცრემლები და სიცილი. ყველა ჩვენგანი, ბავშვებიც და მოზრდილებიც, მთელი ხმით ვყვირივართ – „ვაშა! ვა-შა-აა!“ პატარებს ხელში გვიტაცებდნენ და მაღლა გვისროდნენ. თვალებით სულ მამაჩემს ვეძებდი, მეჩვენებოდა, რომ დავინახავდი ან ის დამინახავს-მეთქი. ძალიან მინდოდა მამის დანახვა, შევხვედროდი ომიდან დაბრუნებულ გმირს, ორდენებითა და სამხრეულებით... მაგრამ, ვაი, რომ ვერ აღმოვაჩინე! ერთი თვისა ვიყავი, მამაჩემი 1939 წელს, არმიაში რომ გაიწვიეს. ის ხარკოვთან დაიღუპა 1942 წელს, მაგრამ დედა ამის შესახებ არ მეუბნებოდა... იმ დღეს, 1945 წლის 9 მაისს, მგონი, თბილისის სახლების ყველა ფანჯრიდან ისროდა ყველა, ვისაც იარაღი ჰქონდა. დამამახსოვრდა მოედანზე დიდი მანქანები უზარმაზარი პროჟექტორებით, რომლებიც საღამოს ანათებდნენ ცას, რითაც მეტ ეფექტს ჰმატებდნენ სადღესასწაულო სალუტს. იყო საყოველთაო ზეიმი, გამარჯვების საყოველთაო-სახალხო ბედნიერება.

... დაუნდობელია, ტრაგიკულია ომის სტატისტიკა, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის გამაოგნებელმა ენთუზიაზმმა გააოცა არა მხოლოდ მაშინდელი საბჭოთა მთავრობის წევრები, არამედ თავად სტალინიც. როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ.ნ.ჩარკვიანი საკავშირო სხდომას მოახსენებდა სტატისტიკურ მონაცემებს, მოჰყავდა ციფრები საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ იმ საშინელ ომში, დარბაზში სამარისებული დუმილი ჩამოწვა, შემდეგ კი გაისმა ხმამაღალი ტაში!

ძველ მცხოვრებლებს, ომის ცოცხლად დარჩენილ ვეტერანებს კარგად უნდა ახსოვდეთ გრძელზე გრძელი რიგები მოხალისეებისა საქართველოს სამხედრო კომისარიატებთან 1941 წლის ივნის-ივლისში. უამრავი ფაქტია, როდესაც ფრონტზე ერთი ოჯახიდან მიდიოდა ყველა, ვინც გასაწვევ ასაკს მიაღწია. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გაზეთებში „ვეჩერნი ტბილისი“ და „თბილისი“ მე მიმყავდა სპეციალური რუბრიკა „ძმათა სისხლით“. ვბეჭდავდით მასალებს ხუთი-ექვსი, ზოგჯერ შვიდი ძმის შესახებ, რომლებიც ერთი ოჯახიდან წავიდნენ ფრონტზე.

ეს არ არის ხმამაღალი სიტყვები, მით უმეტეს ტრაბახი, მაგრამ ფაქტია: საქართველომ, მისი მოსახლეობის პროპორციულობით თუ ვილაპარაკებთ, ფრონტზე გაგზავნა მსოფლიოში ყველაზე მეტი მებრძოლი: 687590 კაცი, ესე იგი რესპუბლიკის მაშინდელ მცხოვრებთა 19 პროცენტი: მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ქვეყნის მოსახლეობა 3.540.760 კაცს შეადგენდა.

ფრონტზე გაგზავნილი ან მოქმედ არმიაში გაწვეული საქართველოს მოსახლეობით შეიძლებოდა შექმნილიყო საბჭოთა ქვეითი ჯარების ომის პერიოდის დაახლოებით 60 სრულფასოვანი დივიზია. ეს კი ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრებია, თანაც ყველაზე ენერგიული, ყველაზე ახალგაზრდა მცხოვრები, რომელიც ერის საფუძველი იყო.

ჩვენი თითქმის 300 000 მებრძოლი არ დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან, ე.ი. ყოველი მეთორმეტე! საშინელმა ომმა საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის ყველაზე საუკეთესო ნაწილი – ახალგაზრდობა შეიწირა. ომის ყოველდღეს ამ რიცხვიდან საშუალოდ ჩვენი 200 ფრონტელი იღუპებოდა.

საქართველო დღემდე გრძნობს სამხედრო ზარალს მისი მოსახლეობის შეუვსებლობის უკვე მეოთხე დემოგრაფიული ტალღისაგან. მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში ქართველი ქალები შავებით, სამგლოვიარო ტანსაცმლით დადიოდნენ.

მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით ასეთ პატარა საქართველოს ბევრი რამ აქვს საამაყო გამარჯვებული მსოფლიოს წინაშე, რომელმაც დაამხო ფაშისტური გერმანია. **ჩვენი ყველაზე სახელგანთქმული თანამემამულე იყო მსოფლიოში უდიდესი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.** სტალინიდან დაწყებული, ჩვენს თანამემამულეებს ჰქონდათ სსრ კავშირში არსებული ყველა სამხედრო წოდება, მათ შორის საბჭოთა კავშირის ადმირალისა. ფრონტის ჩვენი მებრძოლები დაჯილდოებული იყვნენ სსრ კავშირის ყველა ორდენითა და მედლით. ომის შედეგების მიხედვით, **საქართველოს 277684 მცხოვრებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო მოქმედებებში, დაიმსახურა საბრძოლო ჯილდო. ჩვენი რესპუბლიკის 169 სახელოვან ქალსა და მამაკაცს, ვინც ფრონტზე იბრძოდა, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, საქართველოს 22 მებრძოლი დიდების ორდენის სრული კავალერი გახდა.** მათ შორის არიან პირველი ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის მომავალი გენერალ-ლეიტენანტი **ვლადიმერ ნანეიშვილი** და დამარცხებული რეიხსტაგის ფრონტზე გამარჯვების დროშის აღმმართავი **მელიტონ ქანთარია,** ჩვენი თანამემამულე, მფრინავი **ვიტალი პოპკოვი** კი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი გახდა.

**ყველა ფრონტზე,** მათ შორის ნაკლებად ცნობილ ირანის ფრონტზეც, **გაითქვა სახელი 84 გენერალმა და ადმირალმა საქართველოდან, მათ შორის ქართველია 59, სომეხი – 9, რუსი – 8, ებრაელი – 4, ოსი – 3 და ერთი აფხაზი.** სამი ჩვენი თანამემამულე იყო არმიის სარდალი: **გენერალ-პოლკოვნიკები კონსტანტინე ლესელიძე და პორფილე ჩანჩიბაძე და გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ლვოვი,** თბილისის მკვიდრი. ჩვენი **შვიდი გენერალი სარდლობდა კორპუსს, 20 გენერალი იყო დივიზიის მეთაური. პოლკოვნიკისა და პირველი რანგის კაპიტნის ჩინით დაასრულა ომი საქართველოში დაბადებულმა 364 მეომარმა.**

ჩვენი თანამემამულეების გმირობის შესახებ ფართოდაა ცნობილი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთაც. **ალექსანდრე მანაგაძე იუგოსლავიის ეროვნული გმირი გახდა.** კარგად მახსოვს მისი აღფრთოვანებული საუბარი ამ შესანიშნავ ქვეყანაში ყოფნის, იოსიპ ბროზ ტიტოსთან – იუგოსლავიის ლიდერთან – შეხვედრის შესახებ. მეორე მსოფლიო ომში **წოდება „იტალიის ეროვნული გმირი“ მიენიჭა მხოლოდ ორ უცხოელს – რუს ფეოდორ პოლეტაევს და ქართველ ფორე მოსულიშვილს.** 1971 წლის მარტში იტალიის ელჩმა სსრ კავშირში, მოსკოვში ფორე მოსულიშვილის ძმებს გადასცა ოქროს მედალი „საბრძოლო მამაცობისთვის“, და ამ დროს განაცხადა, რომ იტალიას მარადის ეხსომება მამაცი ქართველი მეომრის გმირული გამარჯვება.

ომის წლებში სახელი გაითქვეს ქართველებმა პარტიზანულ ბრძოლებშიც. **ს.კოვპაკის ლეგენდარული უკრაინული პარტიზანული დივიზიის რიგებში მოქმედების დროს ქართველი პარტიზანები თავგანწირული ბრძოლის ნიმუშებს აჩვენებდნენ. ამ დივიზიის პირველი პოლკის მეთაურს დავით ბაქრაძეს უკრაინაში პარტიზანულ მოძრაობაში გამოჩენილი სიმამაცისა და განსაკუთრებული დამსახურებისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ასობით ქართველი პარტიზანი ღებულობდა მონაწილეობას არა მხოლოდ უკრაინასა და ბელარუსში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც – იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, სლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ბელგიაში, პოლონეთსა და სხვ.**

**დღეს ფართოდაა ცნობილი ქართული ბატალიონის აჯანყება ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე, სადაც ზუსტად 60 წლის წინათ გაიხსნა ძეგლი დაღუპულ ქართველ გმირთა პატივსაცემად** და მას შემდეგ ეს ძმათა სასაფლაო კაშკაშა წითელ ტიტებშია ჩაძირული...

განსაკუთრებით უნდა მოვიხაროთ ქედი ქართველი მედიკოსების წინაშე, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მტერზე საერთო გამარჯვებაში. ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს საავადმყოფოები და ჯანმრთელობის დაცვის კერები ევაკოჰოსპიტლებად გარდაიქმნენ. **ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობდა 72 ჰოსპიტალი, რომლებიც ასობით ათას დაჭრილს ეხმარებოდა დაბრუნებულიყვნენ მწყობრში. მრავალ ჰოსპიტალში ნებაყოფლობითა და უნაცვალგებოდ მუშაობდნენ სანიტრებად ქართველ მეთაურთა ცოლები და ქვრივები. ერთ-ერთი მათგანი იყო გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მეუღლე ნინო შეწირული, რომლის თექვსმეტი წლის შვილი ოთარიც 1943 წელს გაიპარა ფრონტზე, მშობელ მამასთან, სადაც დარჩა კიდეც და იბრძოდა სახელგანთქმულ მე-18 სადესანტო არმიაში. სხვათა შორის, ასეთი მაგალითები ბევრი იყო. ავიაციის სახელგანთქმული გენერლის ესტატე ტატანაშვილის შვილი ოთარი – ასევე 16 წლისა – გაიპარა სტალინგრადში მამასთან. სხვათა შორის, საქართველომ ასობით ათასი ობოლი ბავშვი შეიფარა.**

არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ ორი ჩვენი თანამემამულე-მედიკოსი, რომელთა სიმამაცემ, არაჩვეულებრივმა პიროვნულმა თვისებებმა და უმაღლესმა პროფესიონალიზმმა არმიასა და ფლოტში უდიდესი ავტორიტეტი მოუტანა მათ. **პირველი მათგანია სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინე ჯანელიძე.** სწორედ ბატონმა იუსტინემ, პირველმა რუსეთში, გააკეთა იმ დროისთვის ურთულესი ოპერაცია გულზე. **მტერზე გამარჯვებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მას მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.** მისი სახელი და საქმეები დღესაც დიდ სიწმინდედ ითვლება სანკტ-პეტერბურგში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი ომის შემდეგ. **ჩვენი მეორე დიდებული სამედიცინო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იყო სიმონ გირგოლავა, რომელიც ომის წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის მთავარი ქირურგის მოადგილედ. 1943 წელს მას ასევე მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.** ბატონმა სიმონმა, იმ დროს პირველმა ქვეყანაში (!), თავისი პრემიის ფული ლენინგრადის დაობლებულ ბავშვებს გადასცა...

საქართველოს ზურგის ასობით ათასმა მშრომელმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფილა საბრძოლო მოქმედებები, ფაშისტები არ ბომბავდნენ ჩვენს რესპუბლიკას, მაგრამ ამის წყალობით დიდი შეღავათები არ გვქონიაო, იტყვიან ზურგის ცოცხლად დარჩენილი, ჩვენი თმაშევერცხლილი მშრომელები. **ჯერ ერთი, ომის დაწყებისთანავე საქართველოს მოაწყდა ლტოლვილთა, ევაკუირებულთა, სამეცნიერო, სასწავლო დაწესებულებებისა და კულტურის კოლექტივების უზარმაზარი ნაკადი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში განთავსდა და უმოკლეს ვადაში დაიწყო პროდუქციის გამოშვება 20 დიდმა ევაკუირებულმა საწარმომ, მათ შორის საავიაციო ქარხანამ თბილისში, რომელმაც უკვე 1941 წლის ნოემბერში დაიწყო თვითმფრინავების წარმოება, ბათუმსა და ფოთში არემონტებდნენ სამხედრო ხომალდებს.**

**საქართველოში განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა 1942 წლის ზაფხულში, როდესაც წითელმა არმიამ განიცადა გამანადგურებელი დამარცხება ყირიმში, როსტოვსა და ხარკოვთან და უკან დაიხია ჩრდილოეთი კავკასიისკენ.** ჰიტლერმა, რომელიც ახორციელებდა კავკასიის დაპყრობისა და ბაქოს ნავთობისკენ გასვლის თავის მიერ ჩაფიქრებული გეგმის „ბლაუ-III“-ის მესამე სტადიას, კავკასიისკენ დაძრა უზარმაზარი ძალები და შერჩეული ალპიური დივიზია „ედელვეისი“. **მტერმა შეძლო დაეკავებინა კავკასიის მთავარი უღელტეხილები, გასულიყო ახლოს აფხაზეთთან. მტრის თითქმის ხუთიათასიანი არმია** მივიდა გუდაუთთან 20-25 კილომეტრის სიახლოვეს. და ამ კრიტიკულ მომენტშიც კი, როდესაც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი ჩეკისტები და მესაზღვრეები გენერალ-ლეტენანტ ნესტორ ლაბაძის მეთაურობით ყოველდღიურად იჭერდნენ მტრის რამდენიმე დივერსიულ ჯგუფს, როდესაც ამიერკავკასიის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოსთან საზღვარზე დისლოცირებული თურქეთის მილიონიანი არმია ელოდება საქართველოში ფაშისტური არმიის შეჭრას, **ქართველი ხალხი არ შემდრკალა და 70 წლის წინათ შეძლო შეუძლებელი – არმიასთან ერთად მოიპოვა გამარჯვება კავკასიაში, გაუწია საბჭოთა მეომრებს ფასდაუდებელი დახმარება ცოცხალი ძალით, საბრძოლო მასალებით, ტექნიკით, სურსათით, აღჭურვილობით. 50 ათასზე მეტი კაცი დააჯილდოვეს საბრძოლო მედლით „კავკასიის დაცვისთვის“.**

**საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობამ მებრძოლებისთვის მხოლოდ 1942 წლის 1 იანვრისთვის გადასცა 20700 ნაბადი და ჩექმები, 65150 წყვილი შალის ხელთათმანი, 53300 თბილი თეთრეული, 139 220 წყვილი შალის წინდა, ათეულ ათასობით დაბამბული ჯუბა და სხვა მრავალი. და ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. უკვე 1943 წელს საქართველოს მრეწველობა 1939 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. საქართველომ კავკასიის ომისთვის დაიწყო ყველაფერი აუცილებლის მიწოდება, ადგილზე აწარმოებდა ჭურვებსა და ნაღმებს, ავტომატებსა და ნაღმსატყორცნებს, ტყვიაწამალს, შეიარაღებას და მრავალ, მრავალ სხვა რამეს.**

**მთლიანად საქართველოს მოსახლეობამ ომის საჭიროებისთვის პირადი დანაზოგებიდან გადასცა 3.150.000.000 მანეთი, ასევე რესპუბლიკის მოსახლეობისგან შეგროვილი სახსრებით აგო რამდენიმე ავიაესკადრილია, ტანკების კოლონა, წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი“, რომელიც გადასცეს საბჭოთა კავშირის გმირს, პირველი რანგის კაპიტანს, წყალქვეშა ნავის ლეგენდარულ მეთაურს იაროსლავ იოსელიანს, რომელმაც ომის წლებში მტრის 16 ხომალდი ჩაძირა და 40 ათასი ფაშისტი გაანადგურა. ჰიტლერმა იაროსლავ იოსელიანი თავისი პირადი მტრების სიაში შეიყვანა.**

დღეს, დიდი გამარჯვების 68-ე გაზაფხულზე, დიდი სამამულო ომის მონაწილეთაგან ცოცხლები თითზე ჩამოსათვლელები დარჩნენ. ვამაყობთ თქვენით, ძვირფასო უფროსო ძმებო, მამებო და პაპებო, ვამაყობთ დიდი და უძლეველი არმიით თქვენი თანაპოლკელებისა, რომლებიც, მიუხედავად ომის წარმოუდგენელი სიძნელეებისა, თამამად მიდიოდნენ ბრძოლაში ძახილით „სამშობლოსთვის! სტალინისთვის!“, ბრძანების გარეშე, ნებაყოფლობით გადაეფარებოდნენ ამბრაზურებს, ყუმბარების შეკვრით უცვივდებოდნენ მტრის ტანკებს. მხოლოდ ასეთი გმირობით შეიძლებოდა გაგვემარჯვა ძლიერ, გონიერ, კარგად შეიარაღებულ ფაშისტზე, რომელმაც მაშინ სულ რამდენიმე კვირაში ფეხქვეშ მოიქცია თითქმის მთელი ევროპა.

დღეს, ამ ნათელ დღესასწაულზე, მართლაც ცრემლიანი თვალებით, არ მინდა, შეურაცხვყო გაზეთის ფურცლები და დავწერო იმ ზნედაცემული არაადამიანების შესახებ, ვინც წაბილწა ყველა სიწმინდე, შეურაცხყოფა მიაყენა მილიონობით იმ მებრძოლის ხსოვნას, ვინც დაიღუპა ფაშისტებთან ომში, სახელი გადაარქვა საბრძოლო დიდების ქალაქ სტალინგრადს; ჩვენი იმ ვაითანამემამულეების შესახებ, რომლებმაც სახელები გამოუცვალეს იმ მოედნებს, ქუჩებს, სკოლებს, რომლებიც ომის გმირების სახელებს ატარებდნენ, ააფეთქეს საბრძოლო დიდების ძეგლები და მემორიალები, ღამით ბარბაროსულად მოხსნეს სტალინის ძეგლი მის სამშობლოში – გორში და ა.შ. უფალი განსჯის მათ!!!

... სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა იმ ომის ისტორიაში. ძალიან მინდა, რომ ქართველმა ხალხმა გაიმეოროს კეთილი მაგალითი ღირსეული ებრაელი ხალხისა, ისრაელის სახელმწიფოსი, რომელმაც უკვე დიდი ხანია, დაადგინა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა ებრაელის ვინაობა და ყველა მათგანს სათანადოდ მიუზღა. ამ თვალსაზრისით ებრაელები მარტო საქართველოსთვის როდია მაგალითი.

გილოცავთ გამარჯვების დღესასწაულს, დიდი სამამულო ომის ძვირფასო ქართველო ვეტერანებო! სამარადისო ხსოვნა 300000 ქართველ მეომარს, ვინც ფაშიზმთან ბრძოლის ველებზე დაიღუპა! სამარადისო დიდება ყველას, ფრონტისა და ზურგის გმირებს! არავინ და არაფერია დავიწყებული!



**ლევან დოლიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პუბლიცისტი**





ჭიდაობა

# მესამე ადგილს დასჯერდნენ




**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა 10 გუნდი მონაწილეობდა „ნახიჭევანის თასზე“. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა აზერბაიჯანში უძლიერესი შემადგენლობა — ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტებული გუნდი წაიყვანა. რადგან ამ ბიჭებმა წლეულს, ზაფხულს ევროპის პირველობაზე უნდა იჭიდაონ, აზერბაიჯანულ ტურნირში მონაწილეობა მათთვის ძალთა მოსინჯვის კარგი საშუალება იყო. მით უფრო, რომ შეჯიბრება გუნდური სისტემით გაიმართა.

წილისყრით ჩვენი ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც ნახიჭევანის გუნდთან 3:5 წააგო, თურქებს 6:2 სძლია, უკრაინელებს კი 5:2 აჯობა. ამდენად, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი რუსები 7:1 დაამარცხა.

ფინალში ნახიჭევანისა და აზერბაიჯანის გუნდები გავიდნენ. მათი შეხვედრა ფრედ — 4:4 დასრულდა. დამატებითი მაჩვენებლებით მასპინძლებმა გაიმარჯვეს და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს.

**გივი გაგუა**

ალიარება

# გილოცავთ, კოლეგა!



**წლეულს გამოჩენილ ქართველ ფოტოხელოვანს ალექსანდრე კოტორაშვილს დაბადების 70 და პროფესიული მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.**

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენმა ძვირფასმა კოლეგამ ქართული სპორტის მდიდარი მატიანის ამსახველი ფოტონამუშევრების გამოფენა მოაწყო ქარვასლასა და თიბისი გალერეაში, მისი დამსახურების გვირგვინი კი გახდა ალექსანდრე როინიშვილის სახელობის პრემია, რომელიც ამ დღეებში მიენიჭა.

გილოცავთ, კოლეგა!

**გია პლატონიშვილი**




მოსკოვი. 1976 წლის 3 სექტემბერი. სსრკ თასის ფინალი: „დინამო“ — „არარატი“ 3:0. ანგარიშს ხსნის დავით ყიფიანი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭადრაკი

# ქართველთა კვარტეტი - პოლონურ ლეგნიცაში

**ბებერი კონტინენტის 38 ქვეყნის 286 წარმომადგენელი მონაწილეობს მოჭადრაკე ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც პოლონური ლეგნიცა მასპინძლობს. მოასპარეზეთა შორის საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატებიც არიან. მაგალითად, გალელი ბაადურ ჯობავა, რომლის რეიტინგია 2702 პუნქტი, შეჯიბრებაზე მხოლოდ მეცხრეა. ამგვარი მოზღვავება იმით არის განპირობებული, რომ ჩემპიონატის 24 საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილე მსოფლიოს თასზე იასპარეზებს, იქიდან კი პრეტენდენტთა ტურნირამდე მოკლე მანძილია.**




ლეგნიცაში ჯობავასთან ერთად კიდევ სამი ქართველი ასპარეზობს. ესენი არიან დიდოსტატები — მერაბ გაგუნაშვილი და თორნიკე სანიკიძე, საერთაშორისო ოსტატი დავით ლომსაძე. ჩემპიონატში უკვე გაიმართა სამი ტური (სულ შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება). უდანაკარგოდ მეწინავეობენ დავით შენგელია (ავსტრია), ალექსანდრ არეშჩენკო, ალექსანდრ მოისეენკო (ორივე — უკრაინა), ილდარ ხაირულინი, სერგეი ვოლკოვი, ალექსანდრ შიმანოვი, ალექსანდრ რომანოვი (ოთხივე — რუსეთი), რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი) და ტომი ნიბეკი (ფინეთი). სანიკიძემ, გაგუნაშვილმა და ჯობავამ 2-2 ქულა მოაგროვეს, ლომსაძეს კი 1 ქულა აქვს.

**ლექსო ცინცაძე**

ესეც ასე!

# კორტებს მიღმა „დამტკბარი“ ქალი

**გარდა იმისა, რომ რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტსმენი ქალია, რომელსაც ლონდონის ოლიმპიადაზე რუსეთის დელეგაციის მედროშეობის პატივიც კი მიაგეს, იგი ამავე დროს მეტად მომხიბვლელი და საკმაოდ გამჭრიახე საქმის ქალიცაა.**

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების რეიტინგში პირველობისთვის მარია შარაპოვა გარდამავალი უპირატესობით იბრძვის. დიდი სლემის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის უიმბლდონის გამარჯვებულს, მას ერთ დროს რეიტინგის პირველი სტრიქონი ეკავა, ამჟამად კი იგი №2 ჩოგანია. მაგრამ რაც შეეხება პირად ცხოვრებასა და, განსაკუთრებით, ბიზნესს, აქ ვითარება სხვაგვარადაა. თუ მისი დიდი ხნის სასიყვარულო რომანი სერბი წარმოშობის ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე საშა ვუიაჩიჩთან შარშან ქორწილის მაგივრად განშორებით დასრულდა, მისი სარეკლამო და, მით უმეტეს, ბოლოდროინდელი ბიზნეს-მოღვაწეობა დიდად შთამბეჭდავია. თავად განსაჯეთ: ბოლო შვიდი წლის მანძილზე ყოველწლიური მთლიანი შემოსავლით (იგულისხმება როგორც



საჩოგბურთო ტურნირებში მონაწილეობაში მიღებული საპრიზო თანხები, ასევე სხვადასხვა საქონლის რეკლამით მიღებული ჰონორარები) იგი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი სპორტსმენი ქალია და, როგორც ჩანს, ასეთად კიდევ დიდხანს დარჩება. მაგალითად, აპრილის მიწურულს მან მეტად სარფიანი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა ცნობილ გერმანულ ავტოკონცერნ „პორშესთან“. ახლა კი იგი ჭეშმარიტად „ტკბილი ქალიც“ გახდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინათ მან წარმოებაში კანფეტის ახალი ბრენდი „Sugarpova“ გაუშვა, რომლის პრეზენტაცია გასულ ორშაბათს მოსკოვში გაიმართა. „Sugarpova“-ს საწარმოო ხაზი ტრადიციული დათუნიების, დელფინებისა და სხვ. გარდა, ასევე ჩოგბურთის ბურთების, სპორტული ფეხსაცმლისა და... ტუჩების ორიგინალური შეფუთვის მქონე მარმელადიანი შიგთავსის შოკოლადის კანფეტებს გამოუშვებს. როგორც ჩანს, „Sugarpova“-ს ახალი ბრენდი წარმატებისთვისაა „განწირული“: აბა, ვინ იტყვის უარს ლამაზმანი მაშა შარაპოვას „კოცნაზე“, თუკი ამას მარწყვის გემოც ახლავს?!

**ირმა ირემაშვილი**

ცურვა

# ცისფერ ბილიკებზე – მოზარდები

**თბილისი 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში 1999-2002 წლებში დაბადებული მოცურავეები იასპარეზებენ.** საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები აქედანვე ზრუნავენ ახალგაზრდობის იმ სპორტული ფორუმისთვის კონკურენტუნარიანი გუნდების ჩამოყალიბებაზე, ამიტომაც ზრუნვას არ აკლებენ მოზარდებს. დასტურად ბელარუსის ღია პირველობაში მონაწილეობაც გამოდგება, რომელშიც საქართველოს (დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი აბზიანიძე) 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შვიდმა მათგანმა 15 მედალი მოიხვეჭა, არადა, ტურნირში მასპინძლებთან ერთად 1999-2004 წლებში დაბადებული რუსეთის, უკრაინისა და ლიტვის 400-მდე მოცურავე იბრძოდა ხუთ ასაკში მედლებისა და თასებისთვის. 2001 წელს დაბადებულთა შორის რუსთაველმა რუსუდან გოგინაშვილმა იყოჩაღა — 50 და 100 მეტრზე ბრასითა და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო სამი დისტანციის ჯამში დიდი თასიც დაისაკუთრა. ამავე ასაკში საერთო მესამე ადგილი დაიკავა მერი მუმლაძემ (თბილისის „ტონუსი“), რომელსაც ორი ვერცხლი (100-100 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა და კომპლექსურ ცურვაში) და ერთი ბრინჯაო (50 მ თავისუფალი) ხვდა. ერთი ვერცხლით (50 მ თავისუფალი) ელენე ბერაია (თბილისის „სპორტ-თაიმი“) მე-4 ადგილს დასჯერდა.



14-წლიან ბიჭებში ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“) 50 მ თავისუფალი ყაიდით პირველი იყო, 100 მეტრზე კომპლექსში — მესამე. ამავე ასაკში ილია პაპიძემ („ლაგუნა ვერე“) ორი ვერცხლი (50 და 100 მ ბრასით) მოიპოვა. 2000 წელს დაბადებულთა შორის საჩხერელი ლევან ბახტურიძე 50 და 100 მეტრზე ბრასით პირველი იყო ფინიშთან, ამავე დისტანციებზე 13-წლიანებში გორელი ვლადიმერ ტერლეცკი მე-3 ადგილებს დაყაბულდა.

ივნისის მიწურულს 1999-2001 წლებში დაბადებული ჩვენი გოგო-ბიჭები დნეპროპეტროვსკში თანატოლთა შორის უკრაინის ღია პირველობაზე გამოვლენ.

**ლაშა დიდია**

**სურათზე:** ლევან ბახტურიძე კვარცხლბეკზე.

ერიჰა!

# შიშველი დედოფალი

**ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის მკვიდრი, 33 წლის ლამაზმანი ალესანდრა ბენიტეს რომერო, ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა ქვეყნის სპორტის მინისტრი გახდა.**



ფოტოზე მისი... წინასაარჩევნო სატელევიზიო რგოლის ფრაგმენტია გამოსახული, რომელზეც დედიშობილა ალესანდრა აგრესიული ფორმით აწ განსვენებული უგო ჩავესის საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობს. ახლა კი სპორტული მიღწევების ახალ სიმაღლეზე აწევა მისმა მემკვიდრემ, ვენესუელის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ გაისად ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიც და ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატიც მეზობლად, ბრაზილიაში ჩატარდება.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**◉ რიგებშევსებული აკადემია**

# „წესდებურად“ უცხოელი, არსებითად — ახლობელი...

**„სრ“-ის მკითხველებმა უკვე იციან, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მოსკოვის ნ. პრიოროვის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სერგეი პავლეს ძე მირონოვი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად. ამით, აქვე სათქმელად, სერგეი პავლეს ძეს „გაუსამდა“ აკადემიკოსობა — ის კიდევ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია...**

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ უცხოელი წევრობა ოდენ „საწესდებოა“, თორემ სულაც არ მიესადაგება სერგეი მირონოვს, იმდენი არხითაა ის საქართველოსთან დაკავშირებული: თბილისის საპატიო მოქალაქე, ქართული ჯილდო — ღირსების ორდენის კავალერი; ქართველი ქალის, ჯულიეტა ამბერკის ასულ ხოფერიას მეუღლე, ქართველივე ასულის მამამთილი (ერთადერთ ვაჟს, 27 წლის სეხნია სერგეისაც ქართველი ცოლი ჰყავს); და რაც ასევე საგულისხმოა, სახელგანსმენილმა რუსმა მედიკოსმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტების მომზადებაში (ამ სასიკეთო საქმეს დღესაც აგრძელებს) და არაერთ ქართველს უსასყიდლოდ უმკურნალა; მათ რიცხვში შედის ცნობილი ძალოსანი გიორგი ასანიძეც, რომელსაც 2008 წელს ბეჭის ტრავმა აწუხებდა. მადლიანხელებიანმა სერგეი პავლეს ძემ ის მოსკოვში ჩაიყვანა პეკინის ოლიმპიადამდე რამდენიმე ხნით ადრე და ისე უმკურნალა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა... ერთი სიტყვით, ამ კაცს გულითა და საერთოდ, მთელი არსებით უყვარს საქართველო...

დედა ნახე, მამა ნახეო — სერგეი მირონოვზეცაა ზედგამოჭრილი: დედა, ზოია მირონოვა, ახალგაზრდობაში ჩინებული სპორტსმენი — მოციგურავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი; აქტიური ციგურაობიდან წასული, შესანიშნავი ექიმი-ორთოპედი დადგა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირში სპორტული ტრავმატოლოგიის ფუძემდებელი, უამრავი სპორტსმენის ფეხზე თუ „ხელზე“ დამყენებელი. ამ წერილის ერთ-ერთ ავტორს კარგად ახსოვს, თუ ათეულობით წელი როგორ ქუხდა ზოია მირონოვას სახელი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზეც, მადლიერ, განკურნებულ პაციენტთა ენა-პირიდანაც... ქალბატონი ზოია 95 წლისა აღესრულა 2008-ში... მამა, პავლე მირონოვი, აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; ოღონდ სერგეი პავლეს ძის შემთხვევაში მისი უფროსი ძმაც უნდა „ვნახოთ“ — ნიკოლოზ მირონოვი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი...

ახლა უკვე დროა, დამატებით „გამოვნახოთ“ ჩვენი ნარკვევის გმირი.

სერგეი მირონოვი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამგზის აკადემიკოსი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რფ-ის დამსახურებული ექიმი; რფ-ის პრეზიდენტის საქმეთა მმართველის მოადგილე, მთავარი სამედიცინო სამმართველოს უფროსი; რუსეთის ართროსკოპიური საზოგადოების პრეზიდენტი; მუხლის სახსრის ქირურგიის, ართროსკოპიისა და სპორტული ტრავმატოლოგიის ევროპის საზოგადოების აღმასკომის წევრი (ESSKA); მთავარი რედაქტორი ორი წამყვანი სამეცნიერო ჟურნალისა: „კრემლის მედიცინა. კლინიკური მაცნე“ და „ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის მაცნე“; რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე.

მას გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, „უდევს“ 20 საავტორო მოწმობა გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებზე. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 13 საკანდიდატო და 8 სადოქტორო დისერტაცია.

ორთოპედოტრავმატოლოგიურ ავადმყოფთა რეაბილიტაციის სისტემაში ახალ სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმართულებად წარმოჩნდა მყეს-კუნთოვანი პლასტიკის შემუშავება სერგეი მირონოვის მიერ. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოფიქრებული და დანერგილია ახალი ოპერაციები სახსრებზე. 21-ე საუკუნის დასაწყისის რუსეთში ის ლიდერად იქცა სამამულო ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სფეროში. სერგეი მირონოვი გახლავთ ავტორი და გამძღოლი იმ გამოკვლევებისა, რომლებიც ეძღვნება ტრავმატული ავადმყოფობის პოტოგენეზის თეორიული საფუძვლების შესწავლას, მოზრდილთა და ბავშვთა შორის სახსრების დაზიანებებისა და სპორტული ტრავმის შედეგების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას; დაბოლოს, პრევენტიული რეაბილიტაციის კუთხით იგი სამეცნიერო სკოლისა და ახალი მიმართულების შემქმნელია.

უმაღლესი დონის მკვლევარსა და მკურნალს გამორჩეული ჯილდოები როგორ ასცდებოდა! ქართულ ორდენთან ერთად იგი კავალერია რუსეთული „საპატიო ნიშნის“, „პატივის“, „სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის“ ორდენებისა; მფლობელია რფ-ის პრეზიდენტის სიგელისა; ლაურეატია რფ-ის სახელმწიფო პრემიისა და რფ-ის მთავრობის პრემიისა.

...აი, ასეთი წარმატების ნიშნებით დახუნძლული და, მაშასადამე, ქართველთა სასიქადულო სიძე შეემატა უცხოელ წევრად, ჩვენს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას პროფესორ სერგეი მირონოვის სახით...

**ნანი სხირტლაძე,**
**თამაზ ებანოიძე.**

**◉ ინფრასტრუქტურა**

## პირველად – ბოლო ოცი წლის მანძილზე

**ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთის ულიანოვკა-ბოდბე-გამარჯვების რეაბილიტაციის სამუშაოები. ასფალტი იგება წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის გზის მონაკვეთზეც. გზის მშენებლობის პირველ ეტაპზე სოფელ ქვემო ქედში სანიაღვრე წყალგამტარები შენდება, რის შემდეგაც ასფალტის საფარის დაგება დაიწყება.**

**ქვემო ქედი — არხილოსკალოს რვაკილომეტრიანი საავტომობილო ტრასის მშენებლობის გამო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა და ხაზი გაუსვა, რომ მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. იგი იქაურ მცხოვრებთაც გაესაუბრა. და მიმდინარე პროექტებზე მათი მოსაზრებები მოისმინა.**

**ქვემო ქედელთა განცხადებით, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მათ სოფელში არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა.**

**ნანა ჭიჭინაძე**

**◉ კონფლიქტის ზონა**

## ცხინვალის რეგიონში დაკავებული მოქალაქეები გაათავისუფლეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო წარმომადგენლების მიერ დაკავებული მოქალაქეები გაათავისუფლა. შსს-ს ცნობით, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული 12 მოქალაქე გათავისუფლდა.**

**1-4 მაისს რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, ჯონჯოლის საკრეფად წასული საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის, ხვანის და გორისას 22 მკვიდრი დააკავეს. ამ ეტაპზე უკვე გათავისუფლებულია 17 მათგანი, მათ შორის, 5 არასრულწლოვანი.**

**ინტერპრესი**

**◉ მამულს გაუფრთხილდი, ქიტეს!**

(მეექვსე გვერდიდან)

# „ინდოელებმა ქართველ გლეხებს უთხრეს, მართლები ხართ, მიწა არ უნდა გაგვეყიდათო“

**„ისე უნდა დავიცვათ ჩვენი პატარა ქვეყანა და ეროვნული ინტერესები კანონიერი მოქმედებებით, რომ არავის მივცეთ შემოდავების საშუალება. ქართული მიწების გაყიდვას ლობირებდა ნაცმოძრაობა, ეს ინერციით დღესაც გრძელდება და ჩვენი ამოცანაა, სასწრაფოდ დავბლოკოთ“,** — აცხადებს სოსო მანჯავიძე.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ, მართალია, ქართული მიწების გასხვისების მავნებლობა უკვე ჩადენილია, მაგრამ ჯერჯერობით ამას შეუქცევადი და კატასტროფული ხასიათი არ აქვს. ერთ წელიწადში კი საშიშროება აშკარა იქნება, თუკი ამ საეჭვო ჯგუფების აქტივობა გაგრძელდება და მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

რაც შეეხება უკვე გასხვისებულ მიწებს, მისი აზრით, თუ პოლიტიკური ნება იარსებებს, სახელმწიფო ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომ თუნდაც ეს გასხვისებული მიწები ეროვნული ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს — ან გამოისყიდოს, ან უცხოელებმა დაამუშავონ ეს მიწები, რათა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების საკითხები გადაწყდეს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში პაატა კოღუაშვილი აცხადებს, რომ პირადად მან მორატორიუმის იდეა ჯერ კიდევ 2010 წელს წამოაყენა. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, გაუქმდა ის აკრძალვები, რომლებიც არსებობდა საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების კუთხით. ეს კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა შეგნებულად გააკეთეს და საქართველოს მიწის კანონმდებლობა ქართველი ერის ინტერესების მხრივ აბსოლუტურად დაუცველია.

ამდენად, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, უკვე არავითარი ძალა არ არსებობს ამის შესაცვლელად და იძულებულნი ვართ, ვაღიაროთ, უცხოელისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის უფლება. თუმცა, პაატა კოღუაშვილი იმედიანად უყურებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლსა და თავად საკონსტიტუციო გადაწყვეტილებაში არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების სოციალური ინტერესისთვის უცხოელებზე შეზღუდვების დაწესებას. ამიტომ გამოსავალი ერთადერთია, ეს შეზღუდვები უნდა ამოქმედდეს.

ამ ცვლილებებითა და დამატებებით პაატა კოღუაშვილმა, სხვა მეცნიერებთან ერთად, სულ ახლახანს უკვე მიმართა საქართველოს პარლამენტს და პრემიერმინისტრს, რომ საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5% შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში და არა — უფრო მეტი რაოდენობის მიწა.

**„უკვე გაყიდულ მიწებთან მიმართებით ვერაფერს გავაკეთებთ, ისინი მათ უკვე ნაყიდი აქვთ, მაგრამ კანონმდებლობის ახალი დამატება მათ აიძულებს სხვაგვარად მოიქცნენ. ის მიწა მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქცია აწარმოონ. 2005 წელს ბენდუქიძის დამახინჯებულმა, მავნებლურმა ე. წ. ფსევდოიდეოლოგიამ საქართველოს მიწის კანონმდებლობაში გააუქმა მუხლი, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ. ამით ბენდუქიძე ამბობდა, მესაკუთრე თავისუფალია და რაც უნდა, ის გააკეთოს თავის მიწაზე. სინამდვილეში, ეს იდეოლოგია კარნახობდა ქართველ ხალხს, რომ ის უვიცი იყო, თურმე არ იცოდა მიწაზე მუშაობა, ამიტომ უნდა აყრილიყო ამ მიწიდან და აქ უნდა მოსულიყო უცხოელი, რომელიც დაამუშავებდა მიწას და ეცოდინებოდა ბუნებათსარგებლობის პრინციპები“,** — აცხადებს პაატა კოღუაშვილი.



რაც შეეხება ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძის განცხადებას — თუ არ გვინდა, რომ მიწა დაიხნას და დამუშავდეს, მაშინ დავადოთ დიდი ბოქლომი საქართველოსო — მისი შეფასებისას პაატა კოღუაშვილი აცხადებს, რომ შეშელიძეს უკვე 20 წელია იცნობს, ის კარგი ბიჭი იყო, მაგრამ დღეს შეცდომაშია შეყვანილი, მით უფრო, რომ არავინ უკრძალავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას არც ერთ უცხოელს, უბრალოდ, მათ ამის უფლება შეზღუდული რაოდენობით ექნებათ და უცხოელს საქართველოში შეეძლება, იყიდოს ორნახევარი ჰექტარი მიწა.

**„პაატა შეშელიძემ და მისმა მსგავსებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ მიწა ერის არსებობისა და თავის რჩენის უპირველესი პირობაა. მანახონ ქვეყანა, სადაც სახელმწიფო არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და რეგულირებას არ უწესებდეს. თვით აშშ-შიც კი 1%-ც კი არ არის უცხოელებზე გასხვისებული, ასევეა ჩეხეთში, ირლანდიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს ქართველი ხალხის დაკვეთაა. გუშინ ინდოელებმა განაცხადეს, ის, რაც თქვენთან ხდება, არსად ხდება, ჩვენთან ამას არავინ დაუშვებდა და თქვენ რატომ დაუშვითო?! ამიტომ, გლეხებო, თქვენი პრეტენზიები მართალიაო. ვინც მოგვყიდა ეს მიწები, ფული დაგვიბრუნონ და წავალთო“,** — აცხადებს პაატა კოღუაშვილი.

ამასთან, იგი ადასტურებს, რომ დაპირისპირება კიდევ უფრო გაგრძელდება, რადგან სრული შეუსატყვისობაა ქართველებსა და უცხოელებს შორის ენის, რელიგიის, ზნე-ჩვეულების, მიწასთან დამოკიდებულების მხრივ.

ექსპერტის თქმით, ასეულობით ჰექტრობით გაყიდული დიდი ფართობი ყოფილი „ბობოლა ნაციონალების“ საკუთრებაა, რომლებმაც კაპიკებში ჩაიგდეს ქართული მიწები. მეტიც, კოღუაშვილის სიტყვით, მერაბიშვილს და ამ ბანდას თითქმის ყველა სოფელში აქვს ას-ასი ჰექტარი შეძენილი და სწორედ ამ მიწებს ყიდიან. ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება კი არ უნდა ასუქებდეს და ოპოზიციად აყალიბებდეს ნაციონალურ მოძრაობას, არამედ ამ მოძრაობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს და უნდა გაუქმდეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობასთან შეთქმულებაში იყო და დღესაც ამას აგრძელებს“.

ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე აცხადებს, რომ უცხოელების მიმართ არანაირი დაპირისპირება არ შეიმჩნევა ქართულ სოფლებში და ეს მოგონილია. უბრალოდ, სამი შემთხვევა იყო და სამივე მათგანში დამნაშავე იყო ადგილობრივი მთავრობა.

**„რატომ არ უნდა მიეყიდოს მიწები უცხოელებს?! თავი დაანებონ, მშვენივრად მუშაობს ეს სისტემა, ინვესტორები მოდიან და ყიდულობენ მიწებს, რაღაცას აკეთებენ იმ მიწაზე. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გაყიდოს საკუთარი მიწა იმაზე, ვისზეც უნდა. არც სამომავლოდ შექმნის ეს საშიშროებას, წესიერ ქვეყანაში წესიერი მესაკუთრის უფლებები უნდა დავიცვათ. ზოგადად, ჩვენი მთავრობა ქმნის საშიშროებას, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გაუგია. ეს არა მარტო ახლანდელ ხელისუფლებას ეხება, არამედ — საერთოდ აქამდე არსებულ ხელისუფლებას“,** — აცხადებს პაატა შეშელიძე.

**მანანა ნოზაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჩვენი კარაბადინი

# ვმოძრაობთ სისხლძარღვებში

### დამნდობი ოპერაცია გვეხმარება აღვადგინოთ გულის სარქველი

**გულის აორტალური სარქველის შევიწროება — მეტად სერიოზული პრობლემაა, რომელიც ხანდაზმულ ასაკში, სამწუხაროდ, ბევრს აწუხებს. დღეისთვის ის შეიძლება გადაიჭრას ენდოვასკულარული ტექნოლოგიებით.**



**ჩვენი ექსპერტია ინტერვენციული კარდიოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორი, მოსკოვის რენტგენენდოვასკულარული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მთავარი სპეციალისტი, ჩვენი თანამემამულე დავით იოსელიანი.**

### ვიწრო ადგილი

**აორტალური სარქველი გულის მარცხენა პარკუჭსა და აორტას შორის მდებარეობს. იგი ატარებს სისხლს ჩვენი „მოტორიდან" მთელი ორგანიზმისკენ. ასაკთან ერთად, განსაკუთრებით თუ ადამიანი ეწევა ცხოვრების არაჯანსაღ წესს, იკვებება არარაციონალურად, ცოტას მოძრაობს, ეს ნახვრეტი შევიწროებას იწყებს. ეს ხდება ქოლესტერინის ბალთების გამო, რომლებიც ჩნდება არა მხოლოდ სისხლძარღვებში, არამედ გულის სარქველშიც. ნორმით „გასასვლელი" მარცხენა პარკუჭსა და აორტას შორის დაახლოებით 2 სანტიმეტრის ზომისაა, ქოლესტერინის დანალექების გამო შეიძლება შემცირდეს რამდენიმე მილიმეტრამდე.**

ასეთ მდგომარეობას სპეციალისტები სტენოზს უწოდებენ. ცუდია მისი შედეგები. ჯერ ერთი, ჩვენი სხეულის ყველა ორგანო ვერ ღებულობს საკვებ ნივთიერებებს და ჟანგბადს, მაშასადამე, ცუდად მუშაობს. მეორეც, თავად გული იმისთვის, რომ გადაქაჩოს სისხლი ასეთ ვიწრო გასასვლელში, იძულებულია, შეიკუმშოს უკიდურესად სწრაფ რიტმში. ხანდაზმულ ადამიანებში ეს ისედაც არ არის საუკეთესო ფორმაში, ამიტომ სწრაფად იფიტება. ზოგჯერ ადამიანს, რომელსაც აწამებს აორტული სარქველის სტენოზი, არ შეუძლია გაიაროს თუნდაც რამდენიმე მეტრი უქოშინოდ ან უძლიერესი დასუსტების გრძნობის გარეშე.

### ჩიხიდან გამოსავალი

**დიდი ხნის განმავლობაში აორტული სარქველის სტენოზს თავიდან იცილებდნენ მხოლოდ ქირურგიულად. ავადმყოფს კვეთდნენ გულმკერდს და ოპერაციას აკეთებდნენ ღია გულზე, რთავდნენ სარქველის პროთეზს. ამისთვის გულს აჩერებდნენ და პაციენტს ხელოვნური სისხლის მიმოქცევაში რთავდნენ. ასეთი ჩართვები იძლეოდა შედეგს, მათ იყენებენ ახლაც, თუმცა, ხანდაზმულ ადამიანთა უმრავლესობისთვის ისინი, სამწუხაროდ, საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია. მართალია, აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის მიმოქცევას ოპერაციის დროს, მაღალტექნოლოგიურია, ეს ხომ მაინც საკუთარი გული არ არის. ასე რომ, ასეთი ზემოქმედების შემდეგ სოლიდურ ასაკში შეიძლება მთელი რიგი სერიოზული გართულებები გაჩნდეს. იქმნება დახშული წრე: თავი გავართვათ სარქველის სტენოზს შეიძლება, მაგრამ არა რისკის ძირითად ჯგუფში — ხანდაზმულ ადამიანებში.**

ჩიხიდან გამოსავალი გახდა ინტერვენციული, ანუ, როგორც მას ასევე უწოდებენ, ენდოვასკულარული ტექნოლოგიები. ბევრს უკვე გაუგონია მათ შესახებ, სწორედ ხომ მათი წყალობით გახდა შესაძლებელი სტენტირება — ათეროსკლეროზით დაზიანებული სისხლძარღვების იმედის ნაპერწკლის აღდგენა წვრილი ლითონის მილებით. სტენტი გაუხსნელ მდგომარეობაში მიაქვთ გარკვეულ ნაწილთან კატეტერის საშუალებით, შემდეგ კი აფართოებენ საჭირო მოცულობამდე, ბერავენ განსაკუთრებულ ბალონს. მსგავს მეთოდიკას იყენებენ სარქველის შეცვლის დროს. თეძოს არტერიაში ნახვრეტიდან იგი სისხლძარღვებით მიჰყავთ აორტამდე. აქ ხსნიან მის კარკასს, რომელიც ფარავს სისხლძარღვს შიგნიდან, ფიქსირდება და ხვრელს აფართოებს საჭირო ზომამდე. შემდეგ აყენებენ პროთეზს სარქველებით, რომლებიც იხსნებიან და იხურებიან, რომ გაატარონ სისხლი.

გულის გაჩერება არაა საჭირო, მაშასადამე, გართულების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება, ხანდაზმული პაციენტი კი იღებს გამოჯანმრთელების შანსს.

**ჩვენი ცნობა**

**ენდოვასკულარული ქირურგია — მედიცინის შედარებით ახალგაზრდა დარგია, მან აქტიური განვითარება მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. დღეისათვის ეს მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მეთოდია, რომელსაც იყენებენ არა მხოლოდ გულისა და სისხლძარღვების, არამედ თირკმელების, ღვიძლის, თავის ტვინის პრობლემების მკურნალობისთვისაც. მთლიანად, ენდოვასკულარული ტექნოლოგიების დახმარებით შეიძლება მივწვდეთ ორგანიზმის ნებისმიერ წერტილს, სისხლძარღვები ხომ ყველა ორგანოშია.**

### ბეგმიური გასინჯვა

**აორტალური სარქველის პროთეზს საკმაოდ დიდი ზომა აქვს. მისი გულთან მიერთება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სისხლძარღვებიც ასე თუ ისე ჯანსაღი უნდა ყოფილიყვნენ. თუ ისინი „დაცულები" არიან ქოლესტერინის ბალთებით, ისინი უბრალოდ არ გამოდგებიან. აი რატომ არის, რომ ექიმები პირველ ეტაპზე აწარმოებენ თეძოს არტერიისა და გულის გამოკვლევას — ანგიოგრაფიასა და კორონოგრაფიას. სისხლძარღვებში უშვებენ კონტრასტულ ნივთიერებას და იღებენ სარენტგენო სურათებს რამდენიმე პროექციაში. როდესაც მათ გაუკეთებს ანალიზს, ექიმი ხვდება, თუ სად გადის კარგად და სად ცუდად სისხლი და, შესაბამისად, რამდენად არის გამართლებული და ეფექტიანი ჩარევა.**



სარქველის დაყენება ხდება ექოკარდიოგრაფიის კონტროლქვეშ. ხშირად მისი გაკეთება საჭიროა საყლაპავი მილიდან. პაციენტისთვის ეს დისკომფორტია, ამიტომ იყენებენ საერთო ნარკოზს ან სედაციას (ავადმყოფი ნახევრად მძინარე მდგომარეობაშია).

პროცედურის შემდეგ კი კიდევ 2-3 დღე უნდა ვიყოთ სტაციონარში, შემდეგ შეიძლება სახლში გაწერა და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დავიწყოთ ახალი ცხოვრება. ზოგიერთი პაციენტი, ვისაც ადრე უქოშინოდ არ შეეძლო გაევლო თუნდაც რამდენიმე მეტრი, რამდენიმე კვირის შემდეგ... დილაობით იწყებს სირბილს ძუნძულით, იმდენად კარგად გრძნობენ თავს.

### ჩვენი სრულყოფილება

**სარქველის პროთეზის დაყენება წყვეტს ხანდაზმული ადამიანების ბევრ, თუმცა, სამწუხაროდ, არა ყველა პრობლემას. ბევრ ავადმყოფს შეენიშნება კორონარული (გულის) სისხლძარღვების ათეროსკლეროზი. ეს ინფარქტის, გულის იშემიური დაავადების, გულის უკმარისობის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის აუცილებლად უნდა ავიცილოთ თავიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სარქველის შეცვლა ძალებისა და დროის ამაო დაკარგვა იქნება, საფრთხე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის არ გაქრება.**

დიდი ხნის განმავლობაში ასეთი ავადმყოფების მკურნალობა ორ ეტაპად წარმოებდა. თავდაპირველად — კონორარულ სისხლძარღვა სტენტირება, შემდეგ, რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ, სარქველის შეცვლა. ჩვენმა სპეციალისტებმა სრულყვეს მეთოდიკა: ახლა მკურნალობა ერთი ჩარევის ფარგლებში მიმდინარეობს. მისი განხორციელების ტექნოლოგია რთულია, მსოფლიოში ასეთი ოპერაციების ოდენობა უკიდურესად მცირეა, ასე რომ, ამ მხრივ არსებითი პრიორიტეტი გვაქვს. მაგრამ ასეთი მიდგომა აუცილებლად განვითარდება, შეთავსებით მეთოდიკა ხომ ზრდის პაციენტის შანსებს კვლავაც იცხოვროს სრულყოფილი და ბედნიერი ცხოვრებით.

**სხვათა შორის**

**აორტალური სარქველის შეთავსებითი პროთეზირება და სისხლძარღვთა სტენტირება არა მხოლოდ წყვეტს ერთბაშად რამდენიმე პრობლემას, არამედ ამცირებს კიდეც ორგანიზმზე სხივურ დატვირთვას, ყველა მანიპულაცია ხომ რენტგენოტექნოლოგიების კონტროლქვეშ ხორციელდება.**

## მილოცვა

**ოთარ დოლიძეს ვულოცავთ დაბადების 20 წლის იუბილეს.**

**ბაბუ და მისი მეგობრები**

## კადრი



**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს 11 მაისს**

## ანეკდოტები

**დაჭყეტილმა** თვალებმა დაინახეს მეხუთე ზომის მკერდი, თავი რეტდასხმულივით შექანდა, გული აბაგუნდა. შარვალი დავიწროვდა... და მხოლოდ შიშისგან აცახცახებული საფულე მიიყუჟა კუთხეში...



* * *

**როგორც** იქნა, გამოვიდა დიდი ხნის ნალოდინარი სახელმძღვანელო — „როგორ გავუგოთ ქალს". ათ ტომად...

* * *

— რა აწყვია იმ ილუზიონისტის ჩემოდანში?

— კარგად ჩალაგებული გოგოები.

* * *

არა, ცხოვრება დღეს მაინც ბევრად უფრო იოლია. მაგალითად, ოცი წლის წინათ იმისთვის, რომ ტელეფონი უნიტაზში ჩაგვარდნოდათ, იგი ჯერ კედლიდან უნდა მოგვეგლიჯათ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com